

ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელდების მორტივაციისა
და სტრუქტურის საკითხები

„ჟურნალების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ხალხს არ სძინავს, ფიქრობს, სჯის, რომ ხალხში ტრიალებს სხვადასხვანაირი აზრი, რომლის გამომეტყველაც არიან სხვადასხვანაირი ჟურნალები“.

ილია ჭავჭავაძე¹.

საკუთარ სახელთა (ტოპონიმების, ანთროპონიმების, ეთნონიმების, ზოონიმების...) დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ, სტიქიურად იქმნება. მათი შემოქმედიც უბრალო (ხშირად წერა-კითხვის უცოდინარი) ხალხია. მაგრამ არის ენის, კერძოდ, საკუთარ სახელთა ფუნქციონირების ისეთი სფეროებიც, რომელთაც მხოლოდ ინტელიგენცია უძღვება ან არეგულირებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის პრესის შესახებ, რადგანაც სახელმძღვანელო პირი თუ ჯგუფი თავისი ლიტერატურული გემოვნებისა და სპეციალური განათლების წყალობით მეტ-ნაკლებად ახერხებს სახელწოდებაშივე მიანიშნოს თავისი საქმიანობის. მოღვაწეობის პროგრამა და მიზანი.

პრესის, როგორც ენის ფუნქციონირების ერთ-ერთი თავისებური და ვრცელი სფეროს, ენას საკმაოდ ინტენსიურად სწავლობენ თანამედროვე მსოფლიოში. ამ ტიპის გამოკვლევებში გამოჩნეული ადგილი უკავია საგაზეთო სტატიათა სათაურების ენობრივ ანალიზს (პ. შტრაუშმანისა და ჯ. ლიჩის ნაშრომებიდან მოყოლებული). მაგრამ ამ დიდი ყურადღების ფონზე კიდევ უფრო უცნაური ჩანს თავად პერიოდულ გამოცემათა მთლიანი სახელწოდებების შეუსწავლელობა, მით უფრო, რომ ასეთი სახელწოდებების გათვალისწინება სრუ-

¹ ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მოამბეზედ: რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. III, თბ., 1986, გვ. 60—61.

ლიად აუცილებელი ჩანს პრესის სოციალური, სარეკლამო, ე. წ. „სადემონსტრაციო“ ფუნქციების ანალიზისას².

არაერთბუნებრივად აღნიშნულა, რომ საგაზეთო კომუნიკაცია თავისებური ხასიათისაა. კერძოდ, კომუნიკაციის წევრებს შორის უშუალო კავშირი როდია. ერთი შეხედვით კომუნიკაცია ცალმხრივია: შეტყობინებების გადამცემი აქტიურია, მიმღები კი — პასიური. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მიმღების პოზიცია, გემოვნება და ინტერესები ზეგავლენას არ ახდენს გადამცემზე. გაზეთში საკომუნიკაციო კავშირი მყარდება, მაგრამ უკუკავშირი აქ ფარულ ხასიათს ატარებს. „უკუკავშირის ფარული ხასიათი ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით ვლინდება; გაზეთი მკითხველთა ასაკის, სქესის, გათვითცნობიერების დონის, ინტერესების, განწყობისა და მოთხოვნათა შესაბამისად ახდენს თავის ადაპტაციას“³.

საბჭოთა და უცხოური პრესის ენის მიმართ მსგავსი მოსაზრებები მრავლად გამოთქმული ადრესანტის და ადრესატის ფაქტორთა მოქმედებით შეიძლება აიხსნას არა მარტო გაზეთების, ასე ვთქვათ, „მრავალენარულობა“, არამედ ამ ნაირგვარობის ასახვა პერიოდიკის სახელწოდებებშიც⁴.

ქართული პერიოდიკის ისტორია მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება. პრაგმატონიშთა სათანადო ჯგუფი ორი ათასზე მეტ ერთეულს ითვლის. ამათგან ზოგი თუ პრესის სპეციფიკური დანიშნულების ამსახველია და, ამდენად. საერთოა სხვადასხვა დროისა და ქვეყნის პერიოდიკისათვის (*Известия, Петербургские ведомости. Кавказский вестник, ტფილისის უწყებანი, ცნობის ფურცელი...*); გვხვდება ერთი შეხედვით მოულოდნელი სახელწოდებებიც (*სუსხი, იალქანი, ფასკუნჯი, ნიავი, კლდე...*). რამდენადაც შემთხვევითი სახელები აქ ნაკლებ ივარაუდება, საჭირო ხდება მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მასალაში გასარკვევად კანონზომიერებათა გავლენა და სათანადო კლასიფიკაციის გზით მათი სისტემაში მოყვანა.

² სპეციალურ ლიტერატურაში სადემონსტრაციო ენებად (*display languages*) მიიჩნევენ ტელეგრამის, რეკლამის, სათაურის, კატალოგის, იარღისა და სხვ. ენებს.

³ ნ. დარასელია, საგაზეთო სათაურის ლინგვისტურ თავისებურებათა განმაპირობებელი ფაქტორები: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, თბ., 1986, გვ. 109.

⁴ ბრიტანული პერიოდიკის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „ადრესატისა და ადრესანტის ფაქტორთა მოქმედების შედეგია ბრიტანულ პრესაში „ხარისხიანი“ და „პოპულარული“ გაზეთების არსებობა, ცალკეულ კატეგორიაში შემავალ გაზეთებს შორის განსხვავება, თითოეული საგაზეთო ნომრის ქანობრივი და ლინგვისტიკური მრავალფეროვნება“ (ნ. დარასელია, დასახ. ნაშრ., გვ. 109).

პრესა მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროს განეკუთვნება. იგი მასობრივი მომხმარებლისათვისაა განკუთვნილი და სავაჭრო ღირებულების მქონეცაა. შესაბამისად, პრესის სახელწოდებებში განსაკუთრებულად უნდა იყოს გათვალისწინებული რეკლამის, ანუ მომხმარებლის მიზიდვის, დაინტერესების საშუალებები.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებები⁵. პირველი ქართული გაზეთის (**საქართველოს გაზეთი**, 1919)⁶ გამოცემიდან დღემდე. სახელდების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების შესწავლა გარკვეულწილად მასალის ქრონოლოგიური პრინციპით დაჯგუფებასაც გულისხმობს, რისგანაც ამჯერად ჩვენ თავს ვიკავებთ. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართულ პერიოდიკას შინაგანად რთული და მრავალფეროვანი ტენდენციების ასახვა უხდებოდა, რაც თავისებურად თვით სახელწოდებებშიც აისახებოდა: ყოველ ახალ მოვლენას, მიმდინარეობას, წამოწყებას მოჰყვებოდა ხოლმე ახალი სერია ჟურნალ-გაზეთებისა, რომლებიც წინა პლანზე წამოსწევდნენ ამა თუ იმ იდეას, კურსს, მსოფლმხედველობას. უნდა ითქვას, რომ ამგვარ ცვლილებათა მიმართ პერიოდიკის სახელწოდებებიც საკმაოდ „მგრძობიარე“ იყო⁷.

პრესა მასობრივ მკითხველსა და ნეიტრალურ ლინგვისტურ გარემოს ითვალისწინებს. ამდენად, პუბლიკაციებში ყოველგვარი მკითხველისათვის გასაგები ლექსიკა უნდა შეირჩეს, რაც არც ისე მარტივია. „ივერიის“ შესახებ ილია წერდა: „...ჯერ ჩვენდა სამწუხაროდ მარტო ერთად ერთი გაზეთი გვაქვს და ამის გამო იგი საყოველთაო უნდა იყოს. რაკი საყოველთაო იქნება, ანბანიც უნდა იყოს შიგ და

5 ნაშრომს არა აქვს ქართული პერიოდიკის სრულად აღნუსხვის პრეტენზია, მით უფრო, რომ დღესდღეობით არსებული არც ერთი ბიბლიოგრაფია საესებო სრულყოფილად არ არის მიჩნეული.

6 გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ (თბ., 1947) მოყვანილია ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ 1763—87 წლებში საქართველოში გამოდიოდა **საქართველოს გაზეთის** წინამორბედი. ეს იყო **ბრძანება და უწყება**, რომელსაც შემდეგ თურმე **ლეოპორტის** სახელწოდებით უშვებდნენ. იგი გამოდიოდა პერიოდულად, ცალკეულ ფურცლებად და შეიცავდა მეფისა და პატრიარქის ბრძანებებს, განკარგულებებსა და სხვა ოფიციალურ აქტებს.

7 პერიოდიკის სახელწოდებათა მოტივაციაზე მსჯელობისას ყოველთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმის მითითებას, კონკრეტული სახელწოდება ჟურნალისა თუ გაზეთისა და, რამდენადაც რიგ შემთხვევაში ამის დაზუსტება ტექნიკურადაც ძნელი აღმოჩნდა (ბიბლიოგრაფიებში ზოგჯერ მითითებულია მხოლოდ, რომ ესა თუ ის გამოცემა პერიოდული ორგანოა გარკვეული ორგანიზაციისა, და ყოველთვის არ არის დაზუსტებული, ჟურნალია იგი თუ გაზეთი.), ამიტომ სათანადო აღნიშვნები ზოგჯერ აქაც არ არის მოყვანილი. გამოცემის სახეობისა და თარიღების მითითებისას ვეყრდნობით გ. ბაქრაძის დასახელებულ ბიბლიოგრაფიას.

მეცნიერების უკანასკნელი დასკვნა და სიტყვაცა. ჩვენის გაზეთის მკითხველთა საზოგადოება ერთის მხრით შემდგარია მათგან, ვინც არა იცის-რა, მეორეს მხრით, ვინც განსწავლულნი და გამეცნიერებულნი არიან“⁸.

პერიოდულ გამოცემათა სიმრავლის შემთხვევაში ბუნებრივია ყოველ ჟურნალსა და გაზეთს საკუთარი, მეტ-ნაკლებად მომზადებული მკითხველი ჰყავდეს. მაგრამ „ივერიის“ წინასიტყვაობაში დასმულ პრობლემა მაინც დგას, თუ გავითვალისწინებთ, განსაკუთრებით, გაზეთის უნივერსალურ ჩასიათს.

მხედველობაშია მისაღები ერთი გარემოებაც: სახელმძღვანელო თუ კოლექტივი პერიოდიკისათვის სახელწოდების შერჩევისას მხოლოდ საკუთარი მრწამსით ვერ იხელმძღვანელებს. უეჭველად ანგარიშგასაწეგია ცენზურის ფაქტორიც. იგი ხომ დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ამ მხრივაც პრესას არცთუ შორეულ წარსულში, რომ არაფერი ვთქვათ მეფის ხელისუფლებაზე, რომელიც მაქსიმალურად ზღუდავდა ეროვნული პრესის განვითარებას. „მთავრობა ლიბერალური სახელის გამოც კი აფერხებდა გაზეთის გამოცემას“⁹.

საგაზეთო ინფორმაციების ძირითადად ერთგვარი სტრუქტურა, თავად გაზეთის თვისება ყოველგვარი ინფორმაცია დაიტიოს და, რაც მთავარია, გამოცემის ყოველდღიურობა (ან ინტენსიური პერიოდულობა) იწვევს სამეტყველო შტამების, ფორმულების, ყალიბების, კლიშეების წარმოშობას. ზოგადი, ყოვლისმომცველი ფორმულირებებისაკენ სწრაფვა ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებებშიც იწვევს მრავალი პარალელის, თანამოსახელის გაჩენას. ამ ფონზე ქართულ სინამდვილეში შექმნილი ორი ათასზე მეტი სახელწოდებიდან ორიგინალურ და მრავალფეროვან დასახელებათა რაოდენობა მოსალოდნელზე მეტია.

ვიდრე სახელწოდებათა კონკრეტულ თემატურ-სემანტიკური ჯგუფების ანალიზზე გადავიდოდეთ, დავასახელებთ პრესისათვის ნიშანდობლივი და სპეციფიკური, ამავე დროს ზოგადი, უნივერსალური სემანტიკური ინფორმაციის შემცველ სახელწოდებებს¹⁰.

⁸ ილია ჭავჭავაძე, „ივერიის“ წინასიტყვაობა“, დასახ ნაშრ., გვ. 235.

⁹ ნ. ტაბიძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 7.

¹⁰ თბილისში გამოშვალ პერიოდიკის გამოცემის ადგილი არ მიეთითება. ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთი დროებით წყვეტდა არსებობას. ამგვარ წყვეტილობას გამოცემის პირველსა და ბოლო წლებს შორის მრავალწერტილით აღვნიშნავთ. საილუსტრაციო მასალაში პერიოდიკის სახელწოდებები უბრჭყალებოდ, შავი შრიფტით არის მოყვანილი.

1. უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ იმ სახელწოდებებზე, რომლებშიც ასახულია ურუნალ-გაზეთების საინფორმაციო დანიშნულება. ეს უკანასკნელი სათანადო მოქმედების გამომხატველი უპიროფორმებით გადმოიცემა. ამ ფუნქციით ყველაზე ხშირია **მოამბე**, რომელიც ცალკეც გვხვდება და შესიტყვების საზღვრულ კომპონენტადაც. ესენი, ჩვეულებრივ, ურუნალებია:

საქართველოს მოამბე (1863), **მოამბე** (1894—1923); გ. 1884; აღმ. (1910), **სამკურნალო მოამბე** (1926—27), **შრომის კანონმდებლობის მოამბე** (1926—30), **ენიკის მოამბე** (1937—41¹¹), **სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე** (1940).

მოამბის სტრუქტურულ-სემანტიკური სინონიმი **მაცნე** ძალზე იშვიათია. მაგ., ურუნ. **საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე**.

მასდარულ ფორმათაგან იხმარება **უწყება** (მრავლობითი რიცხვის ფორმით)¹². მაგ., გაზ.: **უწყებანი ს. კ. პ. ბათუმის საოლქო კომიტეტისა და რევკომისა** (ბათ. 1921); **განცხადება** (მხოლოდობითის ფორმით), მაგ., **განცხადება** (1921).

სინონიმური სიტყვა **ცნობა** ასევე საინფორმაციო დანიშნულებით გამოიყენება, ოღონდ მსაზღვრელის სახით: **ცნობის ფურცელი** (1901—6). შდრ. ამ თვალსაზრისით ანალოგიური: **სარეკლამო ფურცელი** (1922—23)¹³.

2. პრესა მასობრივი ინფორმაციის სიტყვიერი საშუალებაა (შემთხვევითი არ არის, რომ მას ბეჭდვითი სიტყვითაც იხსენიებენ); თავის საინფორმაციო დანიშნულებას იგი სიტყვის (კრებითი, აბსტრაქტული მნიშვნელობით). მეშვეობით ასრულებს. სიტყვა კი აზრის განმარტებელია. ამიტომ ერთი და მეორეც პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებებში ბუნებრივად აისახება. მაგ.:

გაზ.: **სიტყვა** (1906, ქუთ. 1913), **ქართული სიტყვა** (1923—24); **აზრი** (1908, ქუთ. 1914), **თავისუფალი აზრი** (1924); **ფიქრი** (1913—14).

3. პერიოდიკის სახელწოდებებში არცთუ იშვიათად დასახელებულია თვით პერიოდული გამოცემის სახეობა — ინფორმაციის შემცველი და მომწოდებელი ობიექტი. ესენია: **გაზეთი**, **ფურცელი**, **ურუნალი**, **რვეული**, **ბლოკნოტი**, **კრებული**, **აღმანახი**. მაგალითად:

პატარა გაზეთი (1906), **სახალხო გაზეთი** (1910—14); გ. **სოციალ-დემოკრატიული ფურცელი** (ქუთ. 1905), **სახალხო ფურცელი** (1914—

¹¹ ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

¹² შდრ. რუს. ведомости. მაგ., **Петербургские ведомости** **Тифлисские ведомости**.

¹³ ურუნ. **ილიონის დამატება** (ამავე სახელწოდებით გამოდიოდა ურუნ. **ხომალდის** უფასო დამატება).

17), აგიტატორის ფურცელი (1923); ე. ქართული სამკურნალო ფურცელი (1908); ფარმაცევტული ჟურნალი (1926); მუშათა რვეული (1913), სანიტარულ-ჰიგიენური რვეული (1934); აგიტატორის ბლოკნოტი (1943); გ. კრებული (ქუთ. 1921).

ამ სახელთაგან გაზეთისათვის, გარდა შესაბამისი აპელაციისა, ჩვეულებრივ, ყველაზე ხშირია **ფურცელი**, როგორც რეალური აღმნიშვნელი დენოტატისა (გაზეთი ხომ თავისთავად რამდენჯერმე გაეცვილი ფურცელია!).

ჟურნალისათვის კი უფრო დამახასიათებელია სიტყვები: **რვეული**, **ბლოკნოტი**, **კრებული**, თუმცა აღმნიშვნელი ყოველთვის აღსანიშნის პირდაპირპროპორციული არ არის.

4. მაგრამ პრესის საშუალებით მოწოდებულ აზრსა და სიტყვას ქმედითი ძალა აქვს. ამის გარეშე პრესა თავის ძირითად დანიშნულებას ვერ მიაღწევდა. ამიტომ სიტყვა და საკმე პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებებში ასევე ორგანულადაა ჩართული. მაგ.:

გაზ.: **ჩვენი საქმე** (1909), **საქმე** (1910), **ცხოვრების საქმე** (1911), **ჩემი საქმე** (1918—20), **სიტყვა და საქმე** (ქუთ. 1934—35) (შდრ. თანამედროვე გაზეთის „თბილისის“ რუბრიკა **სიტყვა საქმიანი**).

5. რამდენადაც პრესის, ისევე როგორც მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა უპირველესი დანიშნულებაა უპასუხოს დროის მოთხოვნებს, გამოეხმაუროს და ობიექტურად ასახოს თავისი თანამედროვე ეპოქის მოვლენები და მიმდინარე პროცესები (გავიხსენოთ გალაკტიონის სტრიქონი: დრო, დრო აღნიშნე!), ბუნებრივია, რომ ამ ეპოქისა და მისდამი საზოგადოების დამოკიდებულების ამსახველი სიტყვები პერიოდის სახელწოდებებში დაჩნდება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ჟურნალ-გაზეთების საერთო, კრებითი სახელწოდება — **პერიოდიკა** — დროის ცნებას უკავშირდება. ყველაზე ხშირია თვით **დრო** სიტყვის შემცველი სახელწოდებები:

გაზ.: **დროება** (1866... 1910), **დრო** (1907), **ჩვენი დროება** (1921... 1915), **დროული** (1925—26).

შდრ. ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა **Время**, ანგლისური გაზეთი **Times**, გერმანული ჟურნალი **Zeit** (საინტერესოა, რომ აქედანაა ნაწარმოები **Zeitung** და **Zeitschrift**, რომელთაც გერმანულში შესაბამისად გაზეთისა და ჟურნალის აპელატიური მნიშვნელობა აქვთ).

გვხვდება მონათესავე სემანტიკის სიტყვებიც: ე. **ეპოქა** (1925), გ. **ტემპი** (ჩხორ. 1933—35).

თანამედროვეობის სამსახურში ჩამდგარი პრესის როლი ხაზგასმულია შემდეგ სახელწოდებებში: გ. თანამედროვე ქვეყანა (ქუთ. 1913), თანამედროვე აზრი (1915—17)¹⁴.

6. პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებებში არცთუ იშვიათად გამოსჭვივის გამოცემის ინიციატორთა მიზანი (ან ამის პრეტენზია) სიანლის შეტანისა, მოვლენათა ახლებური გაშუქებისა, გარდაქმნა-განახლებისა, რაც სათანადო ლექსიკური ერთეულებით გადმოიცემა:

გაზ.: დასაწყისი (1908; აღმ. 1910; ქუთ. 1912), აღმ. პირველი ნაბიჯი (1909), გ. განახლებული მესხეთი (ახალც. 1919—20), ახალი კომუნისტი (1920), ახალი გზა (1910; სიღნ. 1921; ყ. 1924—28) და სხვ.

7. მაგრამ პერიოდიკის სახელწოდებებში არა მარტო დროული მახასიათებლებია წარმოდგენილი, არამედ სივრცობრივ-არეალურიც. ამდენად, ბუნებრივია მათში სათანადო ტოპონიმების მონაწილეობა. ეს ჯგუფი ინფორმაციის მხრივ მხოლოდ იმ არეალზე მიანიშნებს, რომელიც ამ პერიოდული გამოცემის ასახავ ობიექტს წარმოადგენს, თუმცა ზოგჯერ უფრო ფართო არეალსაც მოიცავს და ამის გამო ინფორმაციულობის ხარისხიც ამ მხრივ დაბალია.

„ტოპონიმიკურ სახელწოდებათა“ ნიმუშებია:

გაზ.: ივერია (1886...1923), კოლხიდა (ქუთ. 1911—13), იმერეთი (ქუთ. 1912—15), ქართლი (გორი, 1912—13), მესხეთ-ჯავახეთი (ახალც. 1919), ქუთაისი (ქუთ. 1920);

ჟურნ.: ტფილისი (1920), ონი (ონი 1922); კოლხეთი (ქუთ. 1923), აჭარისტანი (ბათ. 1926); კავკასიონი (1924), უშბა (ქუთ. 1926), რიონი (ქუთ. 1926).

ტოპონიმი შეიძლება გავრცობილი იყოს ამა თუ იმ მსახვრეულით, ჩვეულებრივ, სოციალურ-პოლიტიკური პოზიციის ამსახველი

¹⁴ ოროიდე სიტყვა უნდა ითქვას პერიოდიკის სახელწოდებებში გამოყენებული საკუთარი სახელებისა და ინტერნაციონალიზმების ორთოგრაფიისთან დაკავშირებულ საკითხებზედაც. შეინიშნება მყარი ნორმების უქონლობით გამოწვეული სიჭრელე. შდრ.: ჟურნ. „ტფილისის ქალაქის საბჭოს მოამბე“ (1920), და „ტფილისის აღმასკომის სტატისტიკურ-ეკონომიურ განყოფილების კრებული“ (1924—26), „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ (1933), „ტფილისის ბოტანიკური ინსტიტუტის შრომები“ (1934—40).

ტოპონიმთა ორთოგრაფიის ან წარმოების ისტორიას ასახვენ შემდეგი სახელწოდებები: გ. „ბათომის გაზეთი“ (1911—14), „ბათომის ფურცელი“ (1920), „ბათომის ცხოვრება“ (1921), „ბათომის წყლოსანი“ (1933—40), „აჭარისტანის სოფლის მეურნეობა“ (ბათ. 1925), „ლიტერატურული აჭარისტანი“ (ბათ. 1935).

აღსანიშნავია ორთოგრაფიული ხასიათის გადახრები საერთაშორისო ტერმინების შემცველ სახელწოდებებში: „მეცნიერება და ტექნიკა“, „ოჩხამურელი ენტუზიასტი“, ყ. „რევოლუციის მატანე“ (1923—31) და სხვ.

სიმბოლოების (ფერის, სიახლის...გამომხატველი ატრიბუტების) მეშვეობით.

გაზ.: წითელი ქართლი (გორი, 1924—25), წითელი კახეთი (თელ., 1925)¹⁵; ახალი ივერია (ქუთ. 1914), ახალი წყალტუბო (წყალტ. 1939), ახალი შირაქი (წ/წყ. 1940), განახლებული მესხეთი (ახალც. 1919).

8. პრესა, როგორც მასობრივი ინფორმაციის სიტყვიერი საშუალება, ცხოვრებასა და საზოგადოებას შორის შუამავლის როლს ასრულებს, მათი დამაკავშირებელი ხილია. იგი ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით „ხმას აწვდენს“ ხალხს, ამიტომაცაა, რომ „ხმის“ ან მისი მეტაფორული ეკვივალენტის მონაწილეობით ხშირად იქმნება პერიოდიკის სახელწოდებები, კერძოდ:

გაზ.: ხმა (1906), ხმა კახეთისა (სიღნ. 1912—17), მებრძოლთა ხმა (1917—20), ხმა ქართველი ქალისა (ქუთ. 1917...1921), რაჭის ხმა (1918), ფოსტა-ტელეგრაფის ხმა (1919—20)¹⁶, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის ხმა (1919), სიმართლის ხმა (ქუთ. 1913—14, სოხ. 1921; ყ. 1923—24), მავრალთა ხმა (1921), მუშის ხმა (ფოთი, 1921—22), მოწაფის ხმა (1921), მოჯამაგირის ხმა (1927—30), სამხკორის ხმა (1929), უნივერსიტეტის ხმა (1930), სარეწაო კოოპერაციის ხმა (1930), მუშკოპელის ხმა (1930—31), კოლმეურნის ხმა (თელ. 1931—41), ფრუნზელის ხმა (1932—35).

ხმის მეტაფორული გადააზრებისას ხშირად იყენებენ მუსიკალურ საკრავთა სახელებს, რომელთაც გამოიმადებინებელი ფუნქცია ეკისრებათ ანდა საბრძოლო ყიჟინის ასოციაციას იწვევენ (განსაკუთრებით, ჩასაბერი და დასარტყმელი ინსტრუმენტების სახელები):

გაზ.: ზარი (1906—7), საყვირი (1907; აბაშა-საბილაო, 1934). ჩვენი საყვირი (1929), კოოპერაციის საყვირი (1930—31)¹⁷, სტალინარის საყვირი (სტალინ. 1931).

აქვე უნდა გავიხსენოთ აკაკისეული სახე „გარემოების საყვირი“. როგორც პოეტის საზოგადოებრივი დანიშნულებისა და მოწოდების განმანხორციელებელი.

9. პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებებში ასახულია პრესის ავანგარდული როლი (გ.: მოწინავე — აბაშა, 1934; თბ., 1935); ავანგარდი — ახ. სენ. 1934; სენაკი, 1938), მისი მოწოდებაა ობიექტურად და შეუღამაზებლად ასახოს სინამდვილე (გ.: სიმართლე — სიღნ. 1922—31; ქუთ. 1939; ცხოვრების სარკე — 1908), მიზანი და პერ-

¹⁵ ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ არ არის ცნობილი, ჟურნალია იგი თუ გაზეთი.

¹⁶ არ არის მითითებული, ჟურნალია თუ გაზეთი. აღნიშნულია, რომ გამოდიოდა ორ კვირაში ერთხელ, არსებობს ერთადერთი თექვსმეტგვერდიანი ნომერი.

¹⁷ ქართველ პროლეტარულ მწერალთა კოლექტივის გაზეთი.

სპექტივა დაუსახოს საზოგადოებას (ალმ. მიზანი, 1926—30; ამელი¹⁸ (1881...1908; გ. მომავალი, 1909—10; უ. 1920—21) და ნათელი კვალი დააჩინოს მის ცხოვრებას (კვალი, 1893—1904).

სხვა თემატურ ჯგუფებს შორის აღსანიშნავია:

1. ე. წ. „ღარგობრივი“ სახელწოდებები.

ა) ასახულია ის ღარგი, პროფესია თუ საქმიანობა, რომლის გაშუქებასაც ემსახურება ესა თუ ის გაზეთი თუ ჟურნალი:

გაზ.: სასოფლო გაზეთი (1868...1920), თეატრი (ალმ. 1885... 1909; ქუთ. 1912—13), მილიცია (1919), მიწა (1906...1921), შრომა (1906... 1928), მონაგარიშეობა (1926).

ჟურნ.: ხელოვნება (1910...1935; ქუთ. 1919—21), განათლება (1908—20), ნადირობა, ფიზიკური კულტურა, სოფლის მეურნეობა (1925—26), სამხედრო აზრი (ქუთ. 1926), ქართული მწერლობა (1926—30). ტექნიკა (1939—41), პედაგოგიკა (1944).

ბ) დასახელებულია ამა თუ იმ სფეროს, ღარგის წარმომადგენელი, მუშაკი.

გაზ.: მოჯამაგირის ხმა (1927—30), გუთნის დედა¹⁹ (1862—76), მეურნე (ტფ., ქუთ. 1888—98), გლეხი (1906), მუშა (1906...1923), ჭარის კაცი (1917—18), ფუხარა (ბათ. 1924—29), (1927—30), რეკულტორი²⁰ (1930—32), ე. აგიტატორი (1930), სამხედრო ტურისტა (ქუთ. 1931)²¹, ფინმუშაკი (1932—36), ბრიგადირი (1932—35), მანქანათმშენებელი (1932—39), კინო-მუშაკი (1933—35). ტრაქტორისტი (სილნ., მაჩხ. 1933), შინამრეწველი (1936—37), ფიზკულტურელი (1937—39), მევენახე (გურჯ. 1939—41)...

ჟურნ.: მოწაფე (1908—9), მოსამსახურე ფარმაცევტი (1919), ექიმი (1919), მხედარი (1920), ეკონომისტი (1925—26), ავტო-გზელი (1934), თავდაცვა ავიაქიმელი (ქუთ. 1931—33), მონადირე (1937—41), გ. ფეიქარი (1939—41).

ქართული პერიოდიკის სახელწოდებებზე პროფესია-ხელობის, წოდებისა და სხვ. სახელთა შერჩევას განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ქართული სიტყვათხმარებისათვის დამახასიათებელი მხოლოობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც განზოგადებული სახით წარმოადგენენ საგანთა თუ მოვლენათა სიმრავლეს.

18 სალიტერატურო ჟურნალი და გაზეთი.

19 აქაც და შემდეგაც პერიოდიკის სახელწოდებები წარმოდგენილია გამოცემის თანამედროვე ორთოგრაფიით.

20 ახლავს მითითება: „ა/კ სუსრ რკინის გზების გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა ორკვირეული გაზეთი“.

21 ქუთაისის გარნიზონის წითელი არმიის სახლის ტურისტული ბიუროს ორგანო.

გ) საქმიანობის სფერო ან ამ დარგის მუშაკის ვინაობა ლოკალიზებულია სივრცეში სათანადო ტოპონიმის მეშვეობით:

ჟ. საქართველოს მბეჭდავი (1925—26), გაზ.: აჭარისტანის სოფლის მეურნეობა (ბათ. 1925), ქიათურის მაღაროელი (1929—41), თბილისელი მეთამბაქოე (1930—31), თბილისის მაუღელი (1932—41), ტყიბულის მაღაროელი (1931). შირაქის ნავთელი (სიღნ. 1932—33), ლაითურის ჩაი (ოზურგ. 1933), ჩაქვის ჩაი (ჩაქვი-ბათ. 1933—35), ჯოდეჯიანის ჩაი (ზუგდ. 1934), ბათომის წყლოსანი (ბათ. 1935—40), ინდუსტრიალური ქუთაისი (1938), საქართველოს ნავთი (1940)...

ღ) დასახელებულია ამა თუ იმ საქმიანობისა თუ დარგისათვის დამახასიათებელი რაიმე მოვლენა ან ატრიბუტი:

გაზ.: მოხავალი (1909—17), მაღარია (ციებ-ცხელება) (1922)²², ქინა-ქინა (სიღნ. 1929—30)²³, ბიუგელი (1929—41)²⁴, სემაფორი (1932—36)²⁵, მბრუნავი ღუმელი (კასპი, 1932—33)²⁶...

ყ) მინიშნებულია დარგთაშორისი კავშირი:

ჟურნ.: მევენახეობა და მეღვინეობა (1919—20), ვაზი და ღვინო (1920), ღვინო და ვაზი (1920); თეატრი და ხელოვნება (1915), თეატრი და მუსიკა (ქუთ. 1919), ბუნება და ხელოვნება (1920), სკოლა და ოჯახი (ქუთ. 1916); ლიტერატურა და სხვა (1924—25); ტექნიკა და მეცნიერება (1925—26), ტექნიკა და შრომა (1929—38).

პროფესიული საქმიანობისა და ცხოვრების. თეორიისა და პრაქტიკის კავშირზე მიუთითებს ასეთი სახელწოდებები:

ჟურნ.: თეატრი და ცხოვრება (1910... 1926), ცხოვრება და ხელოვნება (1910—11), ცხოვრება და მეცნიერება (1914), სკოლა და ცხოვრება (ქუთ. 1916; თბ., 1917...1920); ტენიკა და ცხოვრება (1925—29).

ვ) ცალკე შეიძლება დაჯგუფდეს ახალგაზრდული პრესა, რომელშიც პირდაპირ ან მეტაფორულადაა ანიშნებული იმ მკითხველთა ასაკი, ვისთვისაც განკუთვნილია იგი:

ჟურნ. ნობათი (1883...1906), ჯეჯილი (1890...1923) ნაკადული (1904...1927)²⁷, მოწაფე (1908—9), ახალგაზრდა პიონერი (1924), ნორჩი პიონერი (1925—26), ნორჩი ლენინელი (1931—41), ოქტომბრის ბავშვები (1936—41)...

²² გაზეთი-ბროშურა რკინიგზის ჯანმრთელობის განყოფილებისა.

²³ მეღვინეობის პ/კავშირის კახეთის საოლქო განყოფილების ორგანო.

²⁴ თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ორკვირეული გაზეთი.

²⁵ ტფილისის სადგურის მეურნეობის პარტკომისა და გაერთიანებული ადგილკომის ორგანო.

²⁶ კასპის ცემენტის ქარხნის საქ. კ. პ. (ბ) პარტკომისა და ქარხნის ორგანო.

²⁷ საყმაწვილო ჟურნალი ნაკადული გამოდიოდა 1904—6 წლებში (პედაგოგი-

გაზ.: ახალგაზრდა კომუნისტი (ქუთ. 1918; თბ., 1921...1935), ახალგაზრდა მუშა (გორი, 1922), უ. ახალგაზრდა ლენინელი (1924; გ. ბათ. 1932—41), ახალგაზრდა ბოლშევიკი (1927—41). ახალგაზრდა სტუდენტი (1929—30), ახალგაზრდა მწერალი (1934—35), ახალგაზრდა სტალინელი (ქუთ. 1934—35).

2. გამომცემელი კოლექტივის პოლიტიკურ-იდეოლოგიური მრწამსის გამომხატველი სახელწოდებები:

ა) დასახელებულია სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მიმართულება.

ამ შინაარსს ასახვენ როგორც განყენებული სახელები, ისე კონკრეტულიც — იდეოლოგიური მიმართულების წარმომადგენლის აღმნიშვნელი სახელები:

უურნ.: სოციალ-დემოკრატი (1906; გ. ქუთ. 1917—19, 1919—21), სოციალისტ-ფედერალისტი (1908... 1921), სოციალისტ-რევოლუციონერი (ქუთ. 1917—18); გაზ.: სოციალისტ-ფედერალისტი (1918—20), კომუნისტი (1920—21), კომუნა (სიღნ. 1921; ახ. სენ. 1923), მუშათა ერთობა (1921), მემარცხენეობა (1927—29), კომუნარი (ამბ. 1933; ზუგდ. 1936—38), სტალინელი (1931; ზუგდ., თელ. 1933—34; ქუთ. 1934—38; გორი, 1934—40; წალენჯ. 1934—37; სოხ. 1935), უ. პროლეტარული რევოლუცია (1933... 1940), ბოლშევიკი (გაგრა. 1943).

ბ) ასახულია ეროვნული პოზიციები და ტენდენციები.

ამ შინაარსის გამოსახატავად უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებულია ტოპონიმი — ცალკე ან მსაზღვრელებით, ანდა წარმოშობის სახელები ქართველი ან ქართული. სადაც საკუთარი სახელი არ მონაწილეობს, იქ ეროვნულ მიმართულებას აპელატივი **სამშობლო** (ქუთ. 1915—17) ან I პირის (მრავლ. რ.) კუთვნილებითი ნაცვალსახელი მიანიშნებს (ჩვენი ერი — 1909; ქუთ. 1914).

მსაზღვრელები დადებითი სემანტიკისაა (**მზიური, თავისუფალი, მთლიანი**). თვით ზედსართავი ძველიც, რომელმაც სხვა შეხამებაში ნეგატიური ასოციაციები შეიძლება აღძრას, სიტყვა **საქართველო**—სთან კომბინაციაში რომანტიკული წარსულის მიმართ ნოსტალგიური გრძნობის გამოხატვას ემსახურება და, ამდენად, ზემოაღნიშნულ „დადებით“ მსაზღვრელთა რიგში დგება. საქართველოს ძველი სახელწოდებაც — **ივერია** — ამავე მიზანდასახულებითაა ნასაზრდოები. მაგ.:

გაზ.: ივერია (1877...1923), საქართველო (პარაზი, 1903—5; თბ., 1908...1921), ჩვენი ერი (1909; ქუთ. 1914), სამშობლო (ქუთ. 1915—

ური ფურცელი), 1904—27 წლებში — მცირეწლოვანთათვის, 1904—20 წლებში — მოზრდილთათვის.

17), ქართული გაზეთი (ბერლ. 1916—18), საქართველოს რესპუბლიკა (1918—21), მთლიანი საქართველო (ბათ. 1920). ქართველი სტუდენტი (1920). აღმ. ქართველი ერი (1909).

ჟურნ.: ძველი საქართველო (1909—15), საქართველოს მოამბე (1863...1910), თავისუფალი საქართველო (ქენევა, 1913—14), მზიური საქართველო (1920).

ვ) შერეული სემანტიკის სახელწოდებები, რომლებიც ერთდროულად სოციალურ-პოლიტიკურ მრწამსზედაც მიუთითებს და დარგზედაც:

გაზ.: პროლეტარი (1919), წითელარმიელთა ესტრადა (1930—31), სოციალისტური მეცხვარეობა (სიღნ.-ელდ. 1933—34), სოციალისტური მესაქონლეობა (ახალქ. 1933—34), ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის (ქედა, 1933), საბჭოთა მეურნე (თელ. 1934—35), სოციალისტური მეცხოველეობა (საგარ.-უდაბნო, 1934—35), სტალინური ლოკომოტივი (1935), სოციალისტური მეღორეობა (ჭიათ. 1933); ჟურნ.: კომუნისტური განათლება (1923; გ. 1932—38), სოფლის კომუნისტი (1925—30). საბჭოთა მუშაობა (1928), პროლეტარული ხელოვნებისათვის (1931—32), საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931—41), გ. საბჭოთა ვაჭრობისათვის (1932—34).

დ) სპეციფიკურ თემატურ ჯგუფს ქმნის რელიგიისადმი დამოკიდებულების გამომხატველი სახელწოდებები:

ჟურნ.: მწყემსი (ყვარ. 1883—1910), ჯვარი ვაჟისა (1906), სვეტიცხოველი (1917).

ათეისტური პერიოდიკა: გაზ. უღმერთო (1929); ჟურნ.: ეკლესია და რევოლუცია (1922), ღვთის წინააღმდეგ (1923), უღმერთო (1929—30), რელიგიის წინააღმდეგ (1930—31), საქართველოს უღმერთო (1930), მებრძოლი უღმერთო (1932... 34), მებრძოლი ათეისტი (1934—41...1935—40).

ე) რიგ სახელწოდებაში ხაზგასმულია იდეოლოგიური მრწამსის, საკუთარი მსოფლმხედველობის დამკვიდრების მეთოდები და საშუალებები.

რევოლუციამდელი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი პრესა სათაურითვე ლამობდა თავისი უკომპრომისობის, პრინციპულობის, მოქმედების მასშტაბურობის ჩვენებას (არც ტერორიზმი გამოირიცხებოდა). ასე გაგრძელდა შემდგომაც, როდესაც მას (პრესას) გამარჯვებული რევოლუციის შენარჩუნება, ანტისაბჭოთა ელემენტებთან შეუგუებლობა უნდა გამოეხატა. იქმნებოდა სათანადო სახელწოდებები ზშირად ძ ა ლ ა ა ნ ს ა ბ რ ძ ო ლ ო ი ა რ ა ღ ი მეტაფორიზაციის გზით არის მოწოდებული:

გაზ.: ძალა (ქუთ. 1906), ისარი (1907—8), ფარი (ქუთ. 1908), გრდემლი (ქუთ. 1907; ყურნ. 1923; აღმ. ქუთ. 1927—28), ლაშქარი (1923)²⁸, ქამანდა (სილნ. 1926), ურო (1931...35); ყურნ.: ქურა (1922), დინამიტი (ქუთ. 1924); აღმ. ბურჯი (1909).

მოქმედებასა და პოზიციას, ან მიზანსა და საშუალებას გამოხატავენ შემდეგი სახელწოდებები:

გაზ.: ბრძოლა (1901...1918; კავკ. 1918; ბათ. 1922), გაფიცვა (ქუთ. (1905), მუშის ბრძოლა (1918), ბარიკადი (1920...1924), ტრიბუნა (1921—23), პროლეტარული ბრძოლა (ბათ. 1922—23). განგაში (1931), იერიში (1931—32; ქუთ. 1931), შეტევა (ქუთ. 1933—34; სილნ. 1934), პროლეტარიატის ბრძოლა (1933—34), ბოლშევიკური ბრძოლა (კასპი, 1934).

პერიოდიკის სახელწოდებებში ასახულია აგრეთვე შეტევა შრ მის ფრონტზე, დამკვრელი მოძრაობა:

გაზ.: სოციალისტური შეჯიბრება (1929—31), საბრძოლო ტემპები (1931—34), დამკვრელი (ხონი, 1932; ლაგოდ. 1933), დამკვრელი რკინისგზელი (სამტრ. 1932—35), დამკვრელი კოლმეურნე (ლანჩხ. 1932), ტემპი (ჩხორ. 1933—35), მებრძოლი კოლმეურნე (სილნ. 1934)..

* * *

სამომხმარებლოდ განკუთვნილი ობიექტების სახელწოდებათა ნომინაციის სამი ძირითადი ფუნქციიდან (ნომინაცია, ინფორმაცია, რეკლამა) სამივე ერთდროულად ყოველთვის არ ხორციელდება. მაგ., „დარგობრივ“ სახელებში მხოლოდ ნომინაცია-ინფორმაციის ფუნქციაა წინ წამოწეული. რეკლამის. ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით კი ყველაზე პროდუქტიული და ღირებულებული სწორედ ლიტერატურული და სატირულ-უმორისტული ჟურნალ-გაზეთები აღმოჩნდა. წმინდა ლიტერატურული პრესის სახელწოდებანი ხშირად ნომინაცია-რეკლამის ფუნქციას ახორციელებენ და ნაკლებ ინფორმაციულნი არიან. ხოლო სატირულ-უმორისტული პერიოდიკის სახელწოდებებში უმეტესად სამივე ფუნქციაა რეალიზებული.

1. ლიტერატურული პროფილის ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებებში ხშირად გვხვდება სინათლის ცნებასთან დაკავშირებული სიტყვები. ეს გასაგებობაა, რამდენადაც, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ ტიპის პერიოდიკა მიიჩნევა თავის უპირველეს დანიშნულე-

²⁸ ახალი მწერლობის კავშირის კვირეული ორგანო.

ბად განმანათლებლურ, „სინათლის მომტან“ მოღვაწეობას (შდრ. გამოთქმა „ცოდნა სინათლეა“). აქ ორი ძირითადი ხაზი იკვეთება:

ა. ერთი მხრივ, საკუთრივ სინათლის ამისი წყაროს გამოხატველი სახელები:

გაზ.: სხივი (1905...1917), ლამპარი (1906), ელვა (1906), ნაპერწკალი (ქუთ. 1906), სინათლე (1907...1911), ცისარტყელა (1907—8), შუქი (1908; აღმ. 1911), ალი (1908), მზე (1908), ხომლი (1908, 1923), ვარსკვლავი (ქუთ. 1909—10, თბ., 1914), შვიდი მნათობი (1919), ორიონი (1923), ჩირადდანი (1923—25), სინათლისაკენ (1926)²⁹, კოლმეურნის მნათობი (ვანი, 1932—41); ჟურნ.: მნათობი (1869—72, 1924; გაზ. 1907, 1908; ქუთ. 1911), ამომავალი მზე (1909), მეტეორი (ზესტ. 1921), კანდელი (ბათ. 1922).

ბ. მეორე მხრივ, განათების მასთან დაკავშირებული მოვლენების აღმნიშვნელი სახელები:

გაზ. დილა (1907—11; ქუთ. 1912—13), ყ. აიხი (ქუთ. 1913), რიურაჟი (ფოთი, 1920—21); ცისკარი (1852—53... 1857—75; ვ. 1887 და ქუთ. 1907, თბ., 1908), გ. განთიადი (1906)³⁰, ყ. ალიონი (1908; გ. 1917—18), ცის ნამი (1907—8); აღმ. ახალი ცისკარი (ქუთ. 1916).

ამ ჯგუფის სახელებს, როგორც ახალი დღის დასაწყისის გამომხატველებს, სიახლის სემანტიკაც ახლავს.

ზოგჯერ სიახლე და გარდაქმნა მეტაფორულადაა მინიშნებული: მერცხალი (1908; ქუთ. 1912—13, 1926), გაზაფხული (ქუთ. 1912).

განახლება ხშირ შემთხვევაში სიმბოლურად წყალთანაა დაკავშირებული:

გაზ.: ტალღა (1906—14; ბათ. 1917), წყარო (1907; ბაქო, 1913), იალქანი (1909), ზვირთი (1915—17), ახალი ნაკადი (1919—20; ყ. 1919); ჟურნ.: ხომალდი (1921—22), ოქტომბრის ზვირთი (ქუთ. 1925), წითელი აფრა (ქუთ. 1928—30); აღმ. პირველი ტალღა (1909).

ფუნქციურად მათ რამდენადმე ემსგავსება ქროლვასთან დაკავშირებული სახელები: აღმ. ნიავი (1909; შდრ. გამოთქმა „ახალმა სიომ დაპბერა“), შევარდენი (ქუთ. 1920; თბ. 1922).

ლირიკის, პოეზიის სიმბოლიზაცია სიმებიანი საკრავის აღმნიშვნელი სახელით ხორციელდება:

გ. ჩანგი (1909), აღმ. მოწაფის ჩანგი (1909). შეუძლებელია ბგერწერული და სემანტიკური ასოციაციით მათ აკაკის ჩონგური არ

²⁹ არ არის ცნობილი, ჟურნალი იყო თუ გაზეთი.

³⁰ განთიადი გაზ. სხივის გავრძელებაა. ამავე სახელწოდებით ქუთაისში გამოდიოდა ჟურნალი 1913, 1915 წლებში.

დაუყავშიროთ („მე ჩონგური მისთვის მიიდა, რომ სივართლეს მსახურებდეს“)³¹.

ამგვარი სიმბოლიზაცია-მეტაფორიზაცია არც სატირულ-იუმორისტული პერიოდიკისთვისაა უცხო:

აღმ.: ზურნა (1908—12), დიპლიპიტო (1909), დაფიონი (ბათ. 1945; შდრ. აკაკისავე: „გმირებს უძახის, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა“).

ამ სახის პერიოდიკის სახელწოდებებში აქტიურად მონაწილეობს ს ა ლ ა მ უ რ ი ც, რომელსაც თავისი ხალხურობისა და ხალისიანობის გამო ტრადიციულად უფრო გასართობ საკრავად აღიქვამენ; მას, სხვა ჩასაბერ ინსტრუმენტებთან შედარებით, „სიმძაფრე აკლია“. ამიტომაც სახელწოდებას „აქლიერებენ“ სხვა კომპონენტებით.

შდრ. აღმ.: სალამური (1909—11), ჩვენი სალამური (1909), მწყემსის სალამური (1911); ეშმაკის სალამური (1909), მათრახი და სალამური (1909—10).

2. პერიოდიკის საზოგადოებრივ-კულტურული მრწამსი არცთუ იშვიათად გამოხატულია სიმბოლიზაციის ან აბსტრაქციის საშუალებით. მათში ძირითადად ერთიანდება სალიტერატურო და სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის სახელწოდებანი. გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა. მითოლოგიური წარმომავლობის სახელწოდებები:

გაზ.: ამირანი (1908), ლიგეია (ქუთ. 1918), ფაკუნჯი (1908; ქ. 1910); ქურნ.: ოქროს ვერძი (ქუთ. 1913), პრომეთე (1918), მეოცნებენიამორები (1919—24), კრონოსის სარკე (1919), თოლაბულისის სარტყელი (1919), პარნასი (1920), სემირამიდის ბაღები (ზესტ. 1921), ილიონი (1922—23), პონტოს (ფოთი, 1922), პონტოსი (ბათ. 1925).

ბ. ისტორიული პირების ან რეალიების ამსახველი სახელწოდებები:

ქურნ.: რუსთაველი (1918), ქალღვას ბალაქანი (ზუგდ. 1921), არმაზი (ქუთ. 1921), სპარტაკი (1922—25), ლომისი (1922—23), ბახტრიონი (1922—23), ლაშარი (1923).

გ. წმინდა ატრაქციის ეფექტის მქონე სახელები:

კრებ. მერანი (1916), გაზ.: ასპიროზი (ბათ. 1923), მწვერვალი (ბათ. 1923); ქურნ.: ცისფერი ყანწები (ქუთ. 1916), საფირონი (1916), სმარაგდი (1919), ლეილა (1920...1924), ფანტომი (ბათ. 1920), H₂SO₄ (1924), პირამიდები (1924), საუნჯე (1924—27), ლიანდაგი (1925).

³¹ აქვე მოსახსენიებელია ქართველ პროლეტარულ მწერალთა გაზეთი ქარზის მანგები, 1923) — ერთი შეხედვით სემანტიკურად შეუთავსებელი სიტყვების ნაერთი.

3. განსაკუთრებით ექსპრესიულია სატირიკულ-იუმორისტული პერიოდიკის სახელწოდებები:

სატირისა და იუმორის მიზანია ნაკლზე მითითება, დამნაშავეს გამაშკარავება, მხილება, გაკენწვლა. ამ სახის პერიოდიკის სახელწოდებებში გამოიყო შემდეგი სემანტიკური ჯგუფები, რომლებშიც დასახელებულია:

ა. სატირის ობიექტის დასჯის იარაღი (სათანადო აპელატივთა მეტაფორიზებული ხმარება ქართული ტრადიციითაა შეპირობებული):

ჟურნ.: ეკალი (1907; კრებ. 1907; გ. 1908), ნიშადური (1907—8), ცეცხლი (1907—8), შურდული (1907; გ. 1908; აღმ. 1912), წმინდა გიორგის შუბ-მათრახი (1907), ეშმაკის მათრახი (1907...1921)³²; გაზ.: მათრახი (1908...1920), ლახვარი (1907; ჟ. 1917); ჟურნ.: შოლტი (1908...1927), სეტყვა (1908); აღმ.: წკიპურტი (1910), ნემსი (ქუთ. 1911), სადგისი (ქუთ. 1911), ანკესი (ქუთ. 1912), მაშხალა (ქუთ. 1912), კონდახი (1913), ჟურნ.: ეშმაკის მახე (1911), ლახტი (1914), ახალი მათრახი (1915), სამტრედიის შოლტი (სამტრ. 1920), ყუმბარა (1921).

ბ. ილუზორული დამსჯელის აღმნიშვნელი სახელები:

აღმ.: ეშმაკი (1907—8), ჭინკა (ქუთ. 1910), ტარტაროზი (1909...1930), ნიანგი (1923...1931); ჟურნ.: ბზიკი (1907), სატანა (1912), კრაზანა (ქუთ. 1931), სუსხი (1908...1914).

კომიკურ-იუმორისტული პერსონაჟების სახელები:

გაზ.: ხუმარა (1907; აღმ. 1912; ჟ. 1922), აღმ.: ჩვენი ხუმარა (1913), ორი ხუმარა (1913), მასხარა (1907); ელამი არლეკინი (ბათ. 1920), ოხუნჯი (1907—10), ჟურნ.: ახირებული (1919), არლეკინი (1920)³².

დ. სატირულ-იუმორისტულ სიტუაციასთან დაკავშირებული ვითარება-განწყობილებების გამომხატველი სიტყვები:

აღმ.: ვაი-ვაი (1911), აღიაქოთი, ახალი აღიაქოთი, ჩვენი აღიაქოთი, სოფლის აღიაქოთი (1912), ახალი ხათაბალა (1912), ქართული ხათაბალა (1913), აურ-ზაური (1913), აყალ-მაყალი (1913), ჟ. ხათაბალა (1920...1926).

ე. აღნიშნული სახის პერიოდიკის მანკიერებათა კრიტიკასთან ერთად, პროფილაქტიკური დანიშნულებაც აქვს. ამის ნიმუშებია:

აღმ.: გუშაგი, ჩვენი გუშაგი, ღამის გუშაგი, ახალი გუშაგი (1909); იუმორისტული აღმანახები: საახალწლო მილოცვები (ქუთ. 1911), ახალწლის დილა (1913), საოხუნჯო აღმანახი „ქრისტე აღსდგა“ (1913),

³² ჟურნალის პირველსავე ნომერში აღნიშნულია, რომ იგი გამოვა სხვადასხვა ხათაურით.

ოქტომბრის დიმილი (1932), წითელი კვერცხი (1909), გაზ. წითელი ცოცხი (ქუთ. 1925).

ამ ორი უკანასკნელის იდიომატური სტრუქტურა კიდევ უფრო აძლიერებს მათს ემოციურ ეფექტს.

სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის ყოველდღიურობასთან კავშირის, სიტუაციურ ცვლილებებზე უშუალო რეაგირებისა და გონებადამხვილური მიგნების მაგალითებია ქუთაისის ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებული გამოცემები — აღმ.: თავს ვეძებთ (1910) და თავი (1910).

* * *

ონომასტიკური ლექსიკა საერთოდ და პრაგმატონიმები, კერძოდ, მიზნად ისახავს გარკვეული ინფორმაციის მოწოდებას ისე, რომ კონტექსტთან კავშირი თითქმის არა აქვს. ეს მასალა თითქოს ცალმხრივ კომუნიკაციას ამყარებს მომხმარებელთან. იგი კომპაქტურად, ზოგჯერ ელიბტირებული სტრუქტურით გადმოსცემს სათქმელს.

საგაზეთო სტატიების ენაზე მსჯელობისას სპეციალურ ლიტერატურაში დებუების ანალოგიას იშველიებენ... დებუებაში მაქსიმალურად შეკუმშული, კომპაქტური გრამატიკული სქემით გადმოიცემა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ფაქტი³³.

ეს მსჯელობა რამდენადმე პერიოდიკის სახელწოდებებზედაც ვრცელდება. გაზეთის ან ჟურნალის სახელწოდებებში, ჩვეულებრივ, სათაურებთან შედარებით, კიდევ უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი წინადადების მსგავსი კონსტრუქციების შექმნა. ამიტომ ინფორმაციულობის ხარისხიც ნაკლებია. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, პრესის შინაარსს და, შესაბამისად, სახელწოდებებსაც, არსებითად შეაპირობებს ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენა. მაგალითად, საბჭოური პრესის იდეოლოგიური მრწამსი მთლიანად განისაზღვრება საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის პოზიციებიდან და ამიტომაც პირდაპირ რეაგირებს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური თუ იდეოლოგიური კურსის უმცირეს ცვლილებებზედაც კი. შესაბამისად, ყოფაში გაჩენილი ლოზუნგი შესაძლოა პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაც მოგვევლინოს (მაგ., გაზ.: წინ, კომუნის-მისაკენი (ყვარ. 1924), ახალ ცხოვრებას ვაშენებთ (თელ. 1930), დავე-უფლოთ ტენიკასი (1934), წინ, ფინიშისაკენ (ქუთ. 1936).

როგორც წესი, პერიფერიული ჟურნალ-გაზეთები ცენტრალურს ჰბაძავენ. საკავშირო მასშტაბი რომ ავიღოთ, დედაქალაქში გატარე-

³³ Г. Винокур, Культура языка, М., 1929, стр. 177.

ბულ „გენერალურ ხაზს“ მიჰყვებიან რესპუბლიკური უფროს-გაზე-
თები, რესპუბლიკურისას — რაიონული პრესა და ა. შ. ცხადია, იმი-
ტაცია ყველა შემთხვევაში სრული არ არის და მსგავსების სიმძაფრე
განელებულია ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით, მაგრამ „მე-
ტროპოლია-პერიფერიის“ იერარქიული დამოკიდებულება წარმოქმნის
დუბლეტებს და, ჩვენს სინამდვილეში ეს გარდაუვალი პროცესი ჩანს.

მეოცე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლებიდან „მრავალპარტიული
აზროვნების“ დასრულებას ახალი იდეოლოგიური კლიშეები მოჰყვა.
ესენია: კომუნიზმი, კომუნისტური, სოციალიზმი, სოციალისტური,
ბოლშევიკური, საბჭოთა, ლენინური, ლენინელი, სტალინური, სტალი-
ნელი და მისთ.

სრული და ნაწილობრივი დუბლეტების მაგალითებია:

ბოლშევიკი, ბოლშევიკური:

გაზ.: ბოლშევიკური სტრიქონი (1931—35), ბოლშევიკური ტემ-
პით (ბორჯ., 1932...1945; ცაგ., 1933; გალი, 1934; ჩხორ., 1936—38),
ბოლშევიკური თვითშემოწმებისათვის (1932), ბოლშევიკები უნდა დაე-
უფლონ ტექნიკას (1932), ბოლშევიკური კადრებისათვის (1933—34),
ბოლშევიკური სიფხიზლისათვის (ოზურგ., 1933—34), ბოლშევიკური
კოლმეურნეობისათვის (ქედა, 1933), ბოლშევიკური კოლმეურნეობა
(ახალქ. 1940), ბოლშევიკური გზა (ოჩამჩ., 1940), ბოლშევიკური სი-
მართლე (1940), ბოლშევიკური სიტყვა (ხაშ., 1940—42), ბოლშევიკი
(გაგრა, 1943—44; უ. 1930—41).

კომუნიზმი, კომუნისტი, კომუნისტური:

გაზ.: საქართველოს კომუნისტი (1920), კომუნიზმისაკენ (კასპი,
1931), წინ, კომუნიზმისაკენ (ყვარ. 1924); უფრნ.: კომუნისტური გა-
ნათლება (1923; გ. 1932—38), სოფლის კომუნისტი (1925—30), კო-
მუნისტური რევოლუცია (1930—31), კომუნისტური აღზრდისათვის
(1932—41).

საბჭოთა:

გაზ.: საბჭოთა კახეთი (თელ. 1923), საბჭოთა აჭარისტანი (ბათ.
1929—36), საბჭოთა სოფელი (აბაშა, 1931—34), საბჭოთა მწერალი
(ქუთ. 1932—34), საბჭოთა ოხეთი (სტალინ., 1933), საბჭოთა მასწავ-
ლებელი (თელ. 1934—35; თბ., 1938—41), საბჭოთა მეურნე (თელ.,
1934—35), საბჭოთა აგრონომი (1935—39), საბჭოთა აჭარა (ბათ. 1936),
საბჭოთა აფხაზეთი (სოხ. 1937), საბჭოთა მილიციელი (1937—41),
საბჭოთა სვანეთი (ლენტ. 1938—40). უფრნ.: საბჭოთა მუშაობა (1928),
საბჭოთა აღმშენებლობა (1929—30), საბჭოთა მედიცინა 1929—41),
საბჭოთა მწერლობა (1932—33), საბჭოთა ხელოვნება (1932...1941).

სოციალიზმი, სოციალისტური:

გან.: შეისწავლეთ სოციალიზმი (1920), სოციალისტური კადრებისათვის (1930), სოციალისტური შეტევა (სამტრ. 1930), სოციალისტური მშენებლობა (ონი, 1930), სოციალისტური სოფელი (მარტვ., 1931, ახვ. 1939), სოციალისტური ტემპები (1931—32), სოციალისტური გზით (საგარ. 1932—37), სოციალიზმის მშენებელი (ხობი, 1932), სოციალიზმისაკენ (ახალც. 1933—34), სოციალისტური გზით (საგარ. 1932—37), სოციალისტური მეცხოველეობა (1933; საგ.-უდაბნო, 1934—35), სოციალისტური მეღორეობა (1933), სოციალისტური მეცხვარეობა (ელდ. 1933—34), სოციალისტური მესაქონლეობა (ახალქ. 1933—34).

ლენინელი, ლენინის...:

გან.: ლენინელი (ზესტ. 1932, გულრ. 1934), ლენინის დროშით (ხა-რაგ. 1932; თბ., 1935); ჟურნ.: ახალგაზრდა ლენინელი (1924; ბათ. 1932—41), ლენინელი სტუდენტი (1929—30), ნორჩი ლენინელი (1931—41).

სტალინელი, სტალინური, სტალინის...:

გან.: სტალინელი-სნაიპერი (ქუთ., 1932), სტალინელი (1931; თელ. 1933—34; ზუგდ. 1933—34; ქუთ. 1934—38; გორი, 1934; წალენჯ. 1934—37; სობ. 1935)³⁴, ახალგაზრდა სტალინელი (ქუთ. 1934—35), სტალინური ლოკომოტივი (1935), სტალინური გზით (დუშ. 1936—40, გალი, 1937), სტალინის დროშით (ჩხორ. 1938—40).

კოლექტივიზაცია, კოლექტიური, კოლმეურნე:

გან.: მთლიანი კოლექტივიზაცია (სენაკი, 1929—38), კოლექტივიზაცია (1930—35), კოლექტივიზაციის ფრონტზე (სიღნ. 1930), კოლექტივისაკენ (ალბულ. 1930—33), აგრონომ-კოლექტივისტი (1930), კოლექტიური შრომა (გურჯ. 1930—39; ხულო 1933), კოლექტიური მესაქონლეობა (თიან. 1932), კოლექტიური შეტევა (ბაღდ., 1934—41). კოლმეურნე (სიღნ. 1932—34, გალი, 1932—33), მარტვილელი კოლმეურნე (მარტვ. 1933—34), კოლმეურნის ბრძოლა (სამტრ. 1933—34), მებრძოლი კოლმეურნე (სიღნ. 1934), ჩხარის კოლმეურნე (ქარ. 1939), ქარელის კოლმეურნე (ხაშ. 1940).

ამჟამად საქართველოში 30-მდე ერთენოვანი ან ორენოვანი არაქართული გაზეთი გამოდის. 120-მდე ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთიდან კი უმრავლესობა დუბლეტური ან ნაწილობრივ დუბლეტურია:

³⁴ სტალინელი — Сталинец (მასალები ქართულად მხოლოდ 1937 წლიდან იბეჭდება).

ა. ვაზ.: ვანთიადი (კასპი, ვანი, ონი, თელ.), ალაზნას ვანთიადი (თელ.), ივრის ვანთიადი (საგარ.)...

ბ. დროშა (თბილ., შუახ., ლაგოდ.), გამარჯვების დროშა (ბოლნ., ლაგოდ.), შრომის დროშა (გეგეშქ.), წითელი დროშა (მაიაკ.), ლენინის დროშით (ორჯ.), კომუნისმის დროშა (ამბრ., წალენჯ.).

გ. კომუნისტი, ახალგაზრდა კომუნისტი, საქართველოს კომუნისტი; კომუნისმისაკენ (ოჩამჩ., დუშ. ჩოხატ.), კომუნისმის დროშა (წალენჯ., გულრ.), კომუნისმის სხივი (ცავ.), კომუნისმის მშენებელი (ხოზი), კომუნისტური შრომა (სოხ., ლანჩხ.).

დ. ლენინელი: ნორჩი ლენინელი (გალი, ზესტ.), ლენინელი (ლენინგ., ქობულ.), ლენინის გზა (გურჯ.), ლენინის დროშა (მანარ.), ლენინის დროშით (ორჯ.), ლენინური გზა (თ/წყ.) და სხვ.

ვახეთის ენის მიმართ გამოთქმული საყვედურები მის უსახურობასთან დაკავშირებით იმით აიხსნება, რომ ყოველდღიურ ხმარებაში საგაზეთო ლექსიკა ცვდება, ჩნდება ლექსიკური კლიშეები. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ ლექსიკური შტამის მეტისმეტი გაცვეთა აუტანელი ხდება თვით ვახეთშიც კი. მაგრამ, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ; როდესაც გაცვეთილი ვახეთის ენისათვის დამახასიათებელი კლიშე „არქივს ჩაბარდება“, იგი შეიცვლება, მართალია, ახლით, მაგრამ ისევ კლიშეთი. მაგ., დღეს გვაქვს „каренщина“, ხოლო ხვალ—„германская каренщина“, დღეს—„смычка с крестьянством“, ხვალ კი—„союз с крестьянством“...³⁵

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ქართული ყურნალ-ვახეთების სახელწოდებებში გვაქვს როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დუბლეტები და ამ მოვლენას მრავალ ფაქტორთან ერთად განსაზღვრავს, ასე ვთქვათ, „ლექსიკური მოდაც“. მაგალითად, ოცდაათიან წლებში დიდად პოპულარული იყო სიტყვა „დამკვრელი“ (საზღვრულადაც და მსაზღვრელადაც). მაგალითად:

ვაზ.: დამკვრელი ტემპებით (ბაღდ. 1931—32), დამკვრელი (ხოზი 1932; ლაგოდ. 1933), რიონჭხის დამკვრელი (ქუთ. 1931—36), დამკვრელი რკინისგზელი (სამტრ. 1932—35), დამკვრელი კოლმეურნე (ლანჩხ. 1932, ხოზი 1933—34), კოლხიდმშენის დამკვრელი (ფოთი, 1933—35), შავზღველი დამკვრელი (ოჩამჩ. 1933—35), ხრამჭხის დამკვრელი (1934—38), დამკვრელი მუშა (სენაკი, 1934—35), დამკვრელი მეკონსერვე (გორი, 1935—39)...

³⁵ Г. Винокур, *რასახ. ნაშრ.*, გვ. 183.

ორმოციანი წლებიდან კი „დამკვრელი“ პრესის სახელწოდებებში თითქმის აღარ გვხვდება.

არსებობს უფრო სიცოცხლისუნარიანი სიტყვები, რომლებიც აღსანიშნის იდეოლოგიური გამძლეობის გამო შესაბამისად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებენ. ასეთებია, კერძოდ, გარდა უკვე მოხსენიებული სიტყვებისა (კომუნისტი, კომუნისტური, საბჭოთა, სოციალისტური...), ზედსართავეები (ახალი, წითელი), არსებითი სახელები (დროშა, გზა, ტემპი და მისთ.). საერთოდ, ამ ლექსემებმა თავის დროზე „დარგობრივი“ სახელწოდებები და კლიშეებად ქცეული იდეოლოგიზმები შეცვალა (შდრ. კომუნისტი და ახალი კომუნისტი, მხედარი და წითელი მხედარი, სტალინელი და სტალინური დროშით და სხვ.), შემდგომ კი თვით ისინიც კლიშეებად იქცნენ და ფართოდ გავრცელდნენ ჩვენს პერიოდიკაში.

დუბლეტების შემქმნელ მსაზღვრელთაგან ახალი განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა XX საუკუნის დასაწყისიდან ოცდაათიან წლებამდე, შემდეგ კი იგი გაცილებით იშვიათად გვხვდება, მაგალითად:

გაზ.: ახალი დროება (1906)³⁶, ახალი ცხოვრება (1906), ახალი ქვეყანა (1907—8), ახალი სხივი (1908... 1921), ახალი გზა (1910; სიღნ. 1921; პ., თბ., 1924—28), ახალი აზრი (1910—15; ქუთ. 1914). ახალი საქმე (1911), ახალი ქართლი (გორი 1914—15), ახალი ფიქრი (1914), ახალი ივერია (ქუთ. 1914), ახალი კვალი (ქუთ. 1915—16; თბილ. 1918—21), ახალი საქართველო (1919—20; პარ.-ბერლ. 1924—26), ახალი ძალა (1918—19); ახალი მთიულეთი (დუშ. 1933—34), ახალი ხევი (ყაზბ. 1933—34), ახალი სვანეთი (მესტ. 1934), ახალი კოლბიდისათვის (ფოთი, 1935—40), ახალი წყალტუბო (წყალტ. 1939), ახალი შირაქი (წ/წყ. 1940); ჟურნ.: ახალი ცისკარი (ქუთ. 1916), ახალი ნაკადი (1919), ახალი სიტყვა (1918)³⁷, ახალი კომუნისტი (1920); განახლებული მესხეთი (ახალც. 1919), ახალი სოფელი (1923; გ. 1925—30).

რევოლუციამდელ პრესაში ძირითადად იხმარება I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა ჩვენი. მაგრამ საგულისხმოა, რომ იგი იმდენად პლურალიზმის მარტივი გამომხატველი კი არ არის, რამდენადაც, ერთი მხრივ, „მშობლიურობის“ განცდისა (ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი), მეორე მხრივ კი — შეკავშირება-

³⁶ ახალი დროება გამოდიოდა თბილისში: 1906 წელს ყოველდღიური გაზეთი (რედ. ლ. ბახტაძე), 1906—7 წ. — ყოველკვირეული ბოლშევიკური გაზეთი — (რედ. დ. გიგინეიძე), 1909 წ. კი — სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი (რედ. ი. ბერტენავა).

³⁷ ჟურნალის მიზანია ეკლესიის ცხოვრების განახლება წმინდა სახარების საფუძველზე.

ერთიანობისა (გავისხენით თუნდაც „ტარიელ გოლუა“-დან რევოლუციური ლოზუნგის ერთ-ერთი კომპონენტი ერთობა). მაგ.: ჩვენი აზრი, ჩვენი ხმა, ჩვენი ნაბიჯი, ჩვენი კვალი... რევოლუციის შემდეგდროინდელ სახელწოდებებში განსაკუთრებით აქტიურდება საზღვრული სახელი. რევოლუციამდელ ჩვენს სალამურს ცვლის ჩვენი საყვირი, ჩვენს ცხოვრებას — ჩვენი აღმშენებლობა და ჩვენი ბრძოლა, ჩვენს მეგობარს — ჩვენი თაობა და ჩვენი კოოპერაცია და ა. შ. მაგალითად:

გაზ.: ჩვენი ცხოვრება (1906...1912), ჩვენი ქვეყანა (1908); ქუთ. ჩვენი აზრი (1909...1914), ჩვენი ერი (1909; ქუთ. 1914), ჩვენი ხმა (1909), ჩვენი სალამური (1909), ჩვენი გაზეთი (1910), ჩვენი ხსივი (1916), ჩვენი მეგობარი (ქუთ. 1916—17), ჩვენი რესპუბლიკა (1917—18), ჩვენი ბრძოლა (ქუთ. 1918), ჩვენი გზა (1920... 1926), ჩვენი აღმშენებლობა (1925—26), ჩვენი საყვირი (1929), აღმ.: ჩვენი ხუმარა (1913), ჩვენი წყარო (ბაქო 1913). ჩვენი ყანა (1909), ჩვენი თაობა (1935—41).

ასევე გარკვეული პერიოდისთვისაა ნიშანდობლივი განვითარების მიმართულების გამოჩნატევი საზღვრული გზა, რომელიც იდეოლოგიურ მსაზღვრელებს ადვილად იგუებს; გზის შემცველი დუბლეტური სახელწოდებები ძირითადად ოცდაათიან წლებში გვხვდება.

შდრ., ერთი მხრივ, გაზ.: გზა (1906—7; აღმ., ქუთ. 1913), სი-მართლის გზა (1917), თავისუფალი გზა (1918—19) და, მეორე მხრივ, გაზ.: ლენინის გზით (ქუთ. 1930—32), ლენინური გზით (ყვარ. 1932); ოქტომბრის გზით (ქუთ. 1930—31; საჩხ. 1939); სოციალიზმის გზით (გორი 1931—34), სოციალისტური გზით (საგარ. 1932—37); საკოლ-შეურნეო გზა (თ/წყ. 1934—41)³⁸; სტალინური გზა (დღშ. 1935), სტალინური გზით (დღშ. 1936—40); კომუნიზმის გზით (დღშ. 1930—40).

მსაზღვრელ იდეოლოგიზმებთან შედარებით მკვიდრად იხმარება დროშა: გაზ.: რევოლუციონური დროშა (1918), ბრძოლის დროშა (ჩხობატ. 1933), ლენინის დროშა (ოზურგ. 1931—41)³⁹, ლენინის დრო-შით (ხარაგ. 1932), სტალინის დროშით (ჩხორ. 1938—40), სტალინის დროშა (1940); კომუნიზმის დროშით (წალენჯ. 1939—40), ყურნ.: კომუნიზმის დროშა (1922—23); დროშა (1923—1935), მარქსიზმის დროშა (1925).

ერთპარტიული (ბოლშევიკური) სინამდვილის ამსახველი პერიოდიკის სახელწოდებებში ბოლშევიზმის, სოციალიზმის, კომუნიზმის გა-

³⁸ ამ სახელწოდებით ჯერ კიდევ 1911—12 წლებში გამოდიოდა გაზეთი თბი-ლისში.

³⁹ ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების გამოცემა. 1924—25 წლებში კი იმავე სახელწოდებით გამოდიოდა მუშურ-გლეხური გაზეთი ქუთაისში.

მომხატველ ცნებათა ჩანაცვლება სიმბოლოებით ხდება. კერძოდ, 1921 წლიდანვე აქტიურად გამოიყენება ე. წ. იდეოლოგიური სიმბოლო წითელი:

გაზ.: წითელარმიელი (1921), წითელი მხედარი (1921), წითელი მშრომელი (თელ. 1921—22), წითელი ვარსკვლავი (1921; ე. 1923); გ., ქუთ. 1924—25), წითელი ოქტომბერი (სიღნ. 1921; სოხ. 1925), წითელი ყვავილები (1922), წითელი მეზღვაური (1922), წითელი ახალგაზრდობის ფურცელი (ქუთ. 1924), წითელი მილიციელი (1930—37), წითელი ფეიქარი (1930...1934), წითელი მშენებელი (1932), წითელი სოიუზტრანსელი (1932), წითელი მკერავი (1932... 1939), წითელი მეთამბაქოე (1935); კრებ. წითელი თაიგული (ფოთი 1922); ჟურნ.: წითელი გუშაგი (1924), წითელი ქართლი (გორი 1924—25), წითელი კახეთი (თელ. 1925), წითელი სხივი (1924—26)⁴⁰, წითელი ავრა (1928—30).

ამგვარი შტამპების გავლენა ისე ძლიერია, რომ ხშირად მათ თითქმის მექანიკურადაც კი იყენებენ. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ ამ ზედსართავით განსაზღვრა პროფესია-ხელობის მქონე ადამიანებისა (მკერავი, ფეიქარი, მშენებელი...) და ტოპონიმებისა (ქართლი, კახეთი).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგი შემთხვევისათვის შტამპებს ამართლებენ კიდევ; შაბლონები წარმოიქმნება და გამართლებულია იქ, სადაც პრაქტიკული მიზანია თითოეული ფაქტის ნეიტრალური გადმოცემა. თუმცა დიდი წილი გაზეთებისა პრეტენზიას აცხადებს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობით ირკვევა, რომ მოვლენები განხილულია გარკვეულ იდეოლოგიურ კრილში და რომ მათი ინტერესის საგანია არა ყველაფერი, არამედ გარკვეული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პერიოდულ გამოცემათა სახელწოდებები უნდა იყოს მოკლე და, ამასთანავე, ზოგადი შინაარსისა. ყოველივე ეს კი, ცხადია, ზღუდავს პერიოდიკის დასათაურებისათვის გამოსადეგი ლექსიკური ერთეულების რაოდენობას და ხელს უწყობს განმეორებებს — სრულ ან ნაწილობრივ დუბლეტებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ჟურნალ-გაზეთებისათვის სახელწოდებათა შერჩევისას ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია ლაკონიურობა: მოკლე სათაური ადვილი დასახსომებელი და წარმოსათქმელია, იოლია მისი რეკლამირება, ეკონომიურადაც მცირე ადგილს იკავებს. შესაბამისად, ყველაზე ხშირია სახელწოდებად ერთსიტყვიანი ან ორწევრა შესიტყვების გამოყენება. ძალზე იშვიათია ორზე მეტი წევრისაგან

შედგენილი სახელწოდებები, როგორცაა გაზეთები: კავკასიის მხარეთა უწყებანი (1845), აჭარისტანის სოფლის მეურნეობა (ბათ. 1925), ბოლშევიკები უნდა დაუფლონ ტექნიკას (1932); ჟურნალები: სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი (1832), ქართული სამკურნალო ფურცელი (1908) და სხვ.

მართალია, დიდი რაოდენობით არსებობს სხვადასხვა მოამბეები, კრებულები, შრომები, ნარკვევები და მისთ., რომლებიც აგრეთვე პერიოდულ გამოცემებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი სახელწოდებების რთული შემადგენლობა, ჩვეულებრივ, შეპირობებულია სათანადო დაწესებულებისა თუ გამომცემელი ორგანიზაციის სრული დასახელების საჭიროებით. ამ ჯგუფის სახელწოდებები ავებულების თვალსაზრისით ძალზე ერთფეროვანია: დაწესებულების, დარგის, გამომცემელი ორგანიზაციის სახელწოდება მსაზღვრელია, ხოლო პერიოდული გამოცემის აღმნიშვნელი (შრომები, კრებული, ნარკვევები, მოამბე...) — საზღვრული. წყობა, როგორც წესი, პრეპოზიციურია. გამოცემის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ქმნის. ესენია:

ჟურნ.: მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა (1921—23), ბიულეტენი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა (1924—26), ბიულეტენი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი (1922—25).

არ არის გამორიცხული, რომ პოსტოპოზიციური წყობა რუსულენოვან სახელწოდებათა გავლენის შედეგი იყოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული გამოცემები პერიოდული კი არის, მაგრამ პრესას არ განეკუთვნება.

ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებებში სავსებით გაზიარებულია საერთოდ პრაგმატონიზებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპი თუ თვისება — ლ ა კ ო ნ ი უ რ ო ბ ა. სახელმძღვანელები ჯგუფისათვის ყოველთვის ნათელია, რომ ჟურნალი ან გაზეთი არ წარმოადგენს ერთბელ და სამუდამოდ შექმნილ, უცვლელ ობიექტს, რომლის შინაარსი აღარ შეიცვლება. ამიტომაც იმთავითვე ეძებენ რალაც ზოგადს, სიმბოლურს, პროგრამისა თუ დევიზის მაგვარს⁴, რომელიც სარეკლამო თვალსაზრისით ადვილად აღსაქმელი და დასახსლომებელია, ტექნიკურ-მხატვრული თვალსაზრისით — მოსახერხებელი, ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით კი — გამომცემის ძირითადი, საპროგრამო ხაზის მაჩვენებელი.

შესაბამისად, ერთშემადგენლიანი (ერთსიტყვიანი) სახელწოდებები ყველაზე მარჯვეა და, თუმცა სტრუქტურული სიმარტივე არაერთ ნომინაციურ სირთულესთანაა დაკავშირებულს, მინც ასეთი სახელწოდებები საკმაოდ მრავლად გვხვდება ქართულ პრესაში; გვაქვს რო-

გორც საკუთარი, ისე ნასესხები, უფრო ზუსტად, საერთაშორისო სიტყვები (ინტერნაციონალიზმები). მაგალითად:

1. საკუთრივ ქართული ლექსიკის შემცველი სახელწოდებები: **მეურნე, გლეხი, მუშა, მარცვალი, მოსავალი, გუთნის დედა...**

2. ინტერნაციონალიზმებით შედგენილი სახელები: **რეგულატორი, ნაციონალისტი, კომუნა, პროლეტარი, არლევინი, სემაფორი⁴², ბრიგადირი...**

3. შერეული (ეროვნული და ინტერნაციონალური ლექსიკა): **ავტოგზელი, ავიაქიმელი, ფინმუშაკი.**

ზოგჯერ შეერთებულია ქართული ფუძე და არაქართული აფიქსა. მაგ.: **კოლხიდა, აჭარისტანი...**

საერთოდ ერთსიტყვიან სახელწოდებათა გარკვეული წილი კომპოზიტებზე (მათ შორის — აბრევიატურულზე) მოდის: **ავტოგზელი, მუშა-მეტყავე, კინო-მუშაკი, მანქანათმშენებელი, ფინმუშაკი, ავრონომ-კოლექტივისტი, ფრუნზელი-მოკავშირე, სოციალ-დემოკრატი, სტალინელი-სნაიპერი...**

II. ორშემადგენლიანი სახელწოდებები. ქართული პერიოდიკის სახელების თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებულია ორწევრიანი შესიტყვებები; გამოყენებულია ორი ძირითადი ყალიბი, რომლებიც ემყარება სიტყვათა პარადიგმატულსა და სინტაგმატურ დამოკიდებულებებს.

1. პარადიგმატული ტიპის შესიტყვებები

ამ ტიპის სახელებში ერთიანდება და კავშირით შეერთებული სიტყვები, რომლებიც სემანტიკური თვალსაზრისით ორ ქვეგვარს იძლევა:

ა. შესიტყვების წევრთა დენოტატებიდან ერთ-ერთი შეპარობებულია მეორით:

ჟურნ.: **ვაზი და ღვინო (1920), მევენახეობა და მეღვინეობა (1919—20), ქლექი და მასთან ბრძოლა (1920), შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტი (1917), კატორღა და ციმბირი⁴³ (1924).**

ბ. ხაზგასმულია შესიტყვების წევრთა დენოტატების კავშირი (უმეტესწილად დარგთაშორისი):

41 ქუთაისის მოწაფეთა ერთ ჟურნალს ასეთი სახელწოდებაც კი აქვს: **წინსვლის ემბლემა (1918).**

42 გაზეთი გამოდიოდა 1932—36 წლებში.

43 ყოფილ პოლტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების თბილისის განყოფილების გამოცემა.

ჟურნ.: თეატრი და მუსიკა (ქუთ. 1919), თეატრი და ხელოვნება (1915), ბუნება და ხელოვნება (1920), მეცნიერება და ტექნიკა (1925—26)⁴⁴, ტექნიკა და შრომა (1929—38), გაზ.: ჭარი და ერი (1918), ერობა და ქალაქი (1919—20), მუშა და გლეხი (ქუთ. 1921—24; თელ. 1933), სასოფლო და ტყის მეურნეობის მუშა (1930—31), მუშა და კოლმეურნე (ქუთ. 1932), სიტყვა და საქმე (ქუთ. 1934—35), შრომა და კულტურა (ქუთ. 1932—33)⁴⁵.

ეს კავშირი უმეტეს შემთხვევაში ჰარმონიულია, თითო-ორთა გამოწვევის ქმნის ანტაგონისტური კავშირიც:

ჟურნ.: მათრახი და სალამური (1909—10), ეკლესია და რევოლუცია (1922).

გ. ხაზგასმულია ამა თუ იმ დარგის მიმართება ყოფასთან, პრაქტიკასთან:

ჟურნ.: ცხოვრება და ხელოვნება (1910—11), თეატრი და ცხოვრება (1910, 1914—20, 1923—26), ცხოვრება და მეცნიერება (ქუთ. 1914), ტექნიკა და ცხოვრება (1925—29).

2. სინტაგმატური ტიპის შესიტყვებები

ამ ჯგუფს ძირითადად შეადგენს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შედგენილი სინტაგმები, რომლებიც თავის მხრივ ორი ქვეჯგუფისაგან შედგება:

ა. შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული:

სისტემატურად მეორდება ერთი და იმავე ტიპის მსაზღვრელება, კერძოდ, ზედსართავები: წითელი, ახალი, თავისუფალი, კომუნისტური, სოციალისტური. ლენინური, სტალინური... მიმღობა დამკვრელი, ნაცვალსახელი ჩვენი. სამაგიეროდ, გაცილებით მრავალფეროვანია საზღვრული. იგი აღნიშნავს დარგს ან ამ დარგის მუშაკს. ხშირად გვხვდება ტოპონიმებიც.

წევრთა თანამიმდევრობა ყოველთვის პრეპოზიციურია:

გაზ.: წითელი მხედარი, წითელი მეზღვაური, თავისუფალი გზა, თავისუფალი საქართველო, კომუნისტური განათლება, სოციალისტური მეცხოველეობა, სოციალისტური ტემპები, ლენინელი სტუდენტი, ლენინის დროშით, სტალინური დოკუმოტივი, სტალინური გზით, დამკვრელი კოლმეურნე, დამკვრელი მეკონსერვე; ჟურნ.: ახალი ცისკარი, ახალი ნაკადი, კომუნისტური რევოლუცია, ჩვენი ერი, ჩვენი საქმე...

ბ. მართულმსაზღვრელიანი სინტაგმები; მართულ მსაზღვრელად საზოგადო სახელიც იხმარება და საკუთარიც. მაგალითად:

44 გაზეთის დამატება.

45 გაზეთი გამოდიოდა თბილისში 1918 წელს.

გაზ.: სიმართლის ხმა, ცნობის ფურცელი, მაშვრალთა ხმა, უნი-
ვერსიტეტის ხმა; საქართველოს ბუნება; კოლხიდმშენის დამკვრელი...

წყობა, ჩვეულებრივ, პრეპოზიციურია, იშვიათად გვაქვს ინვერ-
სიის შემთხვევებიც. ინვერსიით პრესის სახელწოდებებში ერთგვარ
სტილისტიკურ-ექსპრესიული ეფექტი მიიღწევა: ხმა კახეთისა, ხმა-
ქართველი ქალისა, ხმა ებრაელისა, დღენი ჩვენი ცხოვრებისა.

ინვერსიული წყობის ყველა მაგალითში მომღვენო მსახვრელი
ემფატიკური ა-თი არის გაფორმებული.

მართული მსახვრელით ძირითადად ხდება საზღვრულის კონკრე-
ტიზაცია (ადგილის ან სასვენი ნიშნის მიხედვით). ამიტომაცაა, რომ
მსახვრელად შეიძლება შეგვხვდეს მრავალი სხვადასხვა სახელი, მა-
შინ როცა საზღვრული ე. წ. კლიშეებით ვაღმოვიცემა (ხმა, გზა, დრო-
შა, სიტყვა...).

* * *

ქართული ჟურნალ-გაზეთების (ისევე როგორც არაქართულენოვან-
ნი პრესის) სახელწოდებებისათვის ძირითადი გაბატონებული კონს-
ტრუქციაა ნომინატიური, სახელობითური კონსტრუქცია (იმისდა მი-
უხედავად, თუ რამდენი წევრისაგან შედგება სახელწოდება). მაგრამ
ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დანარჩენი ბრუნვები სრულიად უკუ-
ლებელყოფილია. კერძოდ, ერთსიტყვიანი სახელწოდებები ან შე-
სიტყვებათა საზღვრული კომპონენტი შეიძლება შეგვხვდეს:

მიცემითი ბრუნვის ფორმით:

გაზ.: ნორჩ ლენინელებს (1924), ძმური დახმარება დამშეულ სა-
ქართველოს! (1922).

გაცილებით ხშირად გვხვდება თანდებულიანი ფორმება:

ა. -ზე: ჟურნ. საზღვარზე (1925), თავდაცვის სადარაჯოზე (1931—
33); გაზ. ხანძრის საწინააღმდეგო ფრონტზე (1934).

ბ. -თვის: გაზ. პროლეტარული დისციპლინისათვის (1933—34),
ბოლშევიკური კადრებისათვის (1933—39), ბოლშევიკური სიფხაზლი-
სათვის (ოზურგ. 1933—34), ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის
(ქელა 1933), ბოლშევიკური ნავთსადგურისათვის (ფოთი. 1935—41).
ბრძოლა ხარისხისათვის (ქუთ. 1935—39), ბრძოლა სოციალისტური
მშენებლობისათვის (ჩხარი 1933).

გ. -კენ: გაზ.: წინ, კომუნიზმისაკენ (ყვარ. 1924), კომუნიზმისაკენ
(კასპი. 1931), კოლექტივისაკენ (აღბულ. 1930—33), სოციალიზმისა-
კენ (1933—34), შრომა გასწორებისაკენ (1932—34); ახალი ცხოვრე-
ბისაკენ (1938—40); ჟურნ. ახალი სკოლისაკენ (1930—40).

შედარებით ხშირია უთანდებულო მოქმედებითის მაგალითები:

გაზ.: დამკვრელი ტემპებით (1931—32), ბოლშევიკური ტემპით (ბორჯ. 1932—43...; ცაგ. 1933; გალი 1934; ჩხორ. 1936—38), ლენინის დროშით (1935), სტალინის დროშით (ჩხორ. 1939—40), სტალინური გზით (გალი, 1937)...

საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა მაგალითი არანომინატიური კონსტრუქციისა სათანადო პერიოდის პრაქტიკულ სინამდვილეში ლოზუნგს წარმოადგენდა და ასე, მზა ყალიბით იქნა გადატანილი ყურნალ-გაზეთების სახელწოდებებად. ზემოთ მოყვანილი არანომინატიური კონსტრუქციების ლოზუნგურ ხასიათს განსაზღვრავს ზმნა-შემასმენელთა გამოტოვება. რამდენადაც ირიბი ბრუნვის (უთანდებულო და თანდებულიან) ფორმებთან ზმნა ორგანულადაა დაკავშირებული.

ამგვარ სახელწოდებათა აბსოლუტური უმრავლესობა XX ს-ის 30-იან წლებს განეკუთვნება, რაც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ სოციალურ-პოლიტიკურ განწყობილებებს ასახავს. მეორე მხრივ, ამგვარ სახელწოდებათა უდიდესი წილი ორენოვან პერიოდიკაზე მოდის. შესაბამისად მოქმედებს დედაქალაქისათვის (აქ: მოსკოვისათვის) მიბაძვის ტენდენციაც და კალკებიც.

* * *

ორენოვანი პერიოდიკის სახელწოდებებზე დაკვირვება შემდეგ ვითარებას გვიჩვენებს:

1921 წლიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი — 30-იან წლებში საქართველოში მკვეთრად მატულობს ორენოვანი პერიოდიკის რიცხვი⁴⁶. ასეთ გამოცემებში ტექსტი ორსავე ენაზე თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ერთ-ერთ ენაზე გამოცემული ჭარბობს. სახელწოდებები კი, ცხადია, ორსავე ენაზეა მითითებული.

1. ქართული სახელწოდება და რუსული თარგმანი (ასეა წარმოდგენილი ორენოვანი პერიოდიკის დიდი უმეტესობა). გამოიყოფა შემდეგი შემთხვევები:

ა. ქართულ-რუსული ვარიანტები სავსებით შეესატყვისება ერთმანეთს. ძირითადად ესაა ერთწევრიანი ან შეთანხმებულმსაზღვრელიანი

⁴⁶ იშვიათად — სამენოვანიც (მაგ., ქართულ-რუსულ-აფხაზური, ქართულ-რუსულ-სომხური და სხვ.).

(ქართულში) სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელწოდებები:

ინტერნაციონალიზმები საერთო წესით გადმოიცემა:

გაზ.: ფერო-გიგანტი — Ферро-гигант (1932—37), არლეკინი — Арлекин (1920), ბოლშევიკი — Большевик (გაგრა, 1943).

სხვა შემთხვევებში ზუსტი თარგმანი გვაქვს:

გაზ.: ჩვენი ქალაქი — Наш город (1929), სოციალისტური შეჯიბრება — Социалистическое соревнование (1929—31), პროლეტარული სტუდენტობა — Пролетарское студенчество (1930—34), ურო — Молот (1931—33), სოციალისტური მეცხოველეობა — Социалистическое животноводство (1932), სოციალისტური მეღორეობა — Социалистическое свиноводство (ქიათ. 1932).

ბ. ცალკე უნდა გამოიყოს პროფესია-ხელობისა და მიმდევრობის აღმნიშვნელ სახელთა გადმოცემა პერიოდიკის სახელწოდებათა ქართულსა და რუსულ ვარიანტებში.

ქართულში პროფესია-ხელობის სახელები, როგორც ცნობილია, რამდენიმე აფიქსით გადმოიცემა, რომლებშიც მუდამ მონაწილეობს მ პრეფიქსი. მათგან საააალიზო მასალაში გვხვდება მ- და მე-ე, მ-ელ, იშვიათად -ოსან აფიქსები: რუსულში მათ -ნიკ და -щик სუფიქსი შეესატყვისება, მაგალითად:

საქართველოს მბეჭდავი — Печатник Грузии (1925—26).

მუშა-მეტყავე — Рабочий кожевник (1930—35).

თბილისელი მეთამბაქოე — Тифлисский табачник (1930—31).

ბათუმის წყლოსანი — Батумский водник (ბათ. 1933—40).

დამკვრელი მეკონსერვე — Ударник консервщик (გორი, 1935—39).

რაც შეეხება მიმდევრობას, რომელსაც რუსულში -ец სუფიქსი გამოხატავს, ქართულში ამ ფუნქციას -ელ სუფიქსი ასრულებს (რომლის ძირითადი ფუნქციაა აღამიანის წარმომავლობა-სადაურობაზე მითითება). შდრ. გაზეთის სახელწოდებები:

სტალინელი — Сталинец (1931; სოხ. 1935).

კიროველი — Кировец (1934—39).

სტახანოველი — Стахановец (1937—41)).

ცალკეულ შემთხვევაში -ელ სუფიქსი მსგავსი ფუნქციით (ე. ი. მიმდევრობის ფუნქციით; შდრ. გამოთქმა: ფიზკულტურას, სპორტს მისდევს) რუსული -ნიკ სუფიქსის ეკვივალენტურია. შდრ:

ფიზკულტურელი — Физкультурник (1937—39).

საქართველოს ფიზკულტურელი — Физкультурник Грузии (1934—36).

საერთოდ კი -ელ სუფიქსი, როგორც მოსალოდნელი იყო, სადაურობა-წარმომავლობის ფუნქციით იხმარება და მისი რუსული შესატყვისია -ск სუფიქსი ან ნათესაობითის ფორმა:

თბილისელი მეთამბაქოე — Тифлисский табачник (1930—35).

შავზღველი დამკვრელი — Ударник черноморки (ოჩამჩ. 1933—35).

ოჩხამურელი ენტუზიასტი — Очхамурский энтузиаст (ოჩხამ. 1934—35).

გამონაკლისს შეადგენს -ელ სუფიქსის ხმარება პროფესიის აღსანიშნავად: **რკინიგზელი, ავტოგზელი**, რომელთაც რუსულში ისევ პროფესია-ხელობის აღმნიშვნელი -ნიკ სუფიქსი შეესატყვისება: შდრ.:

რკინისგზელი — Железнодорожник (1929—36).

ავტოგზელი — Автodoroжник (1934—36).

გადამწყვეტი მნიშვნელობა ქართულისათვის, როგორც ჩანს, იმას ენიჭება, რომ ამ რთული სიტყვების საზღვრული კომპონენტი არის გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი სახელი **გზა**. ამიტომაც მასზე სადაურობა-წარმომავლობის აფიქსის დართვა ბუნებრივია (ანალოგიისათვის იხ. **მალაროელი**). ჩანს, ამ თემატური ჯგუფის სახელთა წარმოების ანალოგიით შეიქმნა იგივე მოდელი ტრანსპორტთან დაკავშირებული ზოგი სხვა სახელისაც (მაგ., **წითელი სოიუზტრანსელი — 1932**). საგულისხმოა, რომ -ელ სუფიქსი აქ შესატყვისი აღმოჩნდა რუსული -ец სუფიქსისა:

თბილისის მათდელი — Тифлисский Суконщик (1932—41).

შირაქის ნავთელი — Ширакский нефтяник (სიღნ. 1932—33).

ამ მაგალითებში -ელ სუფიქსი ნივთიერება-მასალის აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის, რაც სრულიად გაუმართლებელია (ისევე, როგორც დაუშვებელი იქნებოდა: ტყაველი, თამბაქოელი, ბამბელი, ღვიწელი და სხვ.).

სათანადო შემთხვევებში უნდა გვქონოდა: თბილისის **მემაუდე**, შირაქის **მენავთე**. მეტიც, -ელ სუფიქსი შეიძლებოდა გაგვევრცელებინა გეოგრაფიულ სახელებზე, კერძოდ, დასახლებული პუნქტების სახელწოდებებზე, ასე: **თბილისელი მემაუდე, შირაქელი მენავთე, ბათომე-**

სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართულად
გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხისათვის

ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას უთარგმნელი რჩება ორიგინალის ენის ლექსიკის ერთი ფენა. ეს ძირითადად საკუთარი სახელებია: ანთროპონიმები (ადამიანის გვარ-სახელები), ტოპონიმები, ზოონიმები... ასევე უთარგმნელი რჩება ეთნოგრაფიულ რეალიათა აღმნიშვნელი ტერმინები. მხატვრულ თარგმანში ამათ ემატება ცალკეული შესიტყვებები, შორისდებულები, რეფრენები და მისთ.

უთარგმნელი მასალის თარგმანის ენაზე მოწოდება მოითხოვს შემუშავდეს ერთი ენის მასალის მეორეზე გადმოცემის, ტრანსლიტერაციის პრინციპები; უნდა დადგინდეს, ერთი ენის ამა თუ იმ ფონემას რა ფონემა შეესატყვისება მეორე ენაზე. ენათა ფონემური შემადგენლობა ხშირად სხვადასხვაა და აღნიშნულ პრინციპთა შემუშავებაც მეტ-ნაკლები სირთულით ხასიათდება.

ამჟამად ქართულ ენაზე სულ უფრო ხშირად ითარგმნება აფხაზური ლიტერატურისა და ფოლკლორის ნიმუშები, რომელთა თარგმნა უმეტესწილად რუსული ენის მეშვეობით ან აფხაზურიდან უშუალოდ ქართულ ენაზე შესრულებული პქარედის გამოყენებით ხდება. იმის გამო, რომ შემუშავებული არ არის აფხაზური მასალის ქართულად გადმოცემის პრინციპები, ერთი და იგივე აფხაზური სიტყვა სხვადასხვა მთარგმნელისა თუ პქარედის ავტორის მიერ ქართულში სხვადასხვაგვარად გადმოიცემა.

განსაკუთრებული სიჭრელეა აფხაზურისთვის დამახასიათებელი იმ სპეციფიკური ფონემების ქართულად გადმოცემის თვალსაზრისით, რომლებიც ქართულს არ მოეპოვება. ასეთი ფონემები კი აფხაზურს არც ისე ცოტა აქვს: აფხაზური ენის ფონემათა რაოდენობა ქართულისას თითქმის ორჯერ აღემატება. სხვაობას ქმნიან აფხაზურისთვის ნიშანდობლივი ლაბიალიზებული, პალატალიზებული, ინტენსიური თანხმოვნები, ნახევარხმოვნები **ჟ** და **ჟ'**, ხმოვანი **ჟ**, სპირანტი **ჟ**.

როგორც აღინიშნა, ერთი რომელიმე ფონემა აფხაზური ენისა ზოგჯერ სხვადასხვაგვარად გადმოიცემა. მაგალითად, ლარინგალური ლა-

ელექტროფიკაციისათვის — За электрофикацию (1932—35).
ჯანსაღი ვაგონისათვის — За здоровый вагон (1934—36).
ჯანსაღი ავტომანქანისათვის — За здоровый автомобиль (1935—39).

კულტურული ვაჭრობისათვის — За культурную торговлю (1935).
ბოლშევიკური ნავსადგურისათვის — За большевистский порт (ფოტო 1935—41).

სახელწოდებათა ლოზუნგურ ხასიათს, რომელსაც უზმნო კონსტრუქცია შეაპირობებს, რამდენადმე „არბილებს“ მოქმედების გამომხატველი მასდარების (ბრძოლა, შრომა) მონაცვლეობა. მაგალითად:

ბრძოლა ბამბისათვის — Борьба за хлопок (სიღნ. 1932).
ბრძოლა ჩაისათვის — Борьба за чай (ბათ. 1932—34).
ბრძოლა ციტრუსებისათვის — Борьба за цитрусы (ბათ. 1933—34)
ბრძოლა ხარისხისათვის — Борьба за качество (ქუთ. 1935—39)

2. ტრანსლიტერირებული ფორმები. არის ერთეული შემთხვევები, როცა პერიოდიკის სახელწოდება, აპელატივით გამოხატული, რუსულში ტრანსლიტერირებულია (და არა თარგმნილი), მაგალითად:

მონადირე — Монадире (1937—40).
განთიადი — Гантиади (ქლუბ. 1943).
ახალი ხევი — Ахали Хеви (ყაზბ. 1933—34).

შდრ.: ახალი შირაქი — Новый Шираки.

ხდება პირიქითაც, როდესაც რუსული სახელწოდებაა ქართულად ტრანსლიტერირებული:

Ингурский бумажник — ინგურსკი ბუმაჟნიკ (1939)
Дело народа — დელო ნაროდა (1918)

3. არაადეკვატური ან უმართებულო თარგმნის ნიმუშებია:

კოლექტივისაკენ — Колхозный путь (ალბულ. 1930—33).
საბრძოლო ტემპებით — За боевые темпы (1930—34).
ელამი არღეკინი — Кривой Арлекин (ბათ. 1920).
წითელი მკერავი — Красный швейник (1932—39).
მკერავი-მშენებელი — Красный мкеравец (1932—39)⁴⁸.

⁴⁸ I და II სამკერვალო ფაბრიკების გაზეთები.

როგორც უკვე აღინიშნა, პერიოდიკა მხოლოდ ნომინაცია-ინფორმაციას ვერ დასჯერდება. ის ღირებულებითი მოვლენაა — იყიდება, და თუნდაც ამიტომ მომხმარებლის დასაინტერესებლად უეჭველად უნდა იყენებდეს რეკლამისათვის საჭირო სახეობებს.

XX საუკუნის 20-იან წლებამდე მრავალპარტიულობიდან გამომდინარე პოლიტიკურ-სოციალური აზროვნების პლურალიზმი და ამ მრავალფეროვნების ასახვის შესაძლებლობები პერიოდიკაში კონკურენციის პირობებსაც ქმნიდა. ამიტომაც სათანადო ჟურნალ-გაზეთების გამომცემელი ყოველნაირად ცდილობდნენ ახალი, ორიგინალური და „მეტყველი“ სახელწოდებები ეპოვათ. შემდგომ, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა გარდატეხამ იდეოლოგიური აზროვნებაც სრულიად არაორაზროვანი გახადა, ეს ვითარება პრესაშიც სათანადოდ აისახა და საერთოდაც მისთვის დამახასიათებელ შტამებს ახალი შტამები შეემატა პერიოდიკის სახელწოდებათა სახით (კონკურენციისათვისაც საკმარისი საფუძველი უკვე აღარ არსებობდა).

ერთფეროვნება ქართული პერიოდიკის სახელწოდებებისა ჯერჯერობით არ დაძლეულა. თუმცა თვით პრესის შინაარსს ერთგვარი გადახალისება უკვე დაეტყო. აზრის განთავისუფლების მიმდინარე პროცესმა სათანადო ასახვა უნდა პოვოს თვით ჟურნალ-გაზეთების სიმრავლეში და ეს სიმრავლე ყოფა-ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ნაირგვარობის მაჩვენებელიც გახდება.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ ილიას სიტყვები „ივერიის“ შესახებ: „სხვაგან, საცა ცხოვრება მრავალ-კეცია და საცა თითოეული ნაკეცი იმოდენად გაძლიერებულია, რომ თავის ადგილს და თავის საკუთარს ხმასა თხოულობს ცხოვრების სარბიელზედ, იმდენი გაზეთია, რამდენიც წყობაა, მოწადინე ხმისა და ადგილისა ცხოვრების საომარზედ“⁴⁹.

აისახება თუ არა ჟურნალ-გაზეთების სიმრავლე მათს სახელწოდებათა მრავალფეროვნებაში, ძნელი სათქმელია: პირდაპირპროპორციული შეფარდება მათ შორის აუცილებლობით რომ არ ივარაუდება, ამას დღევანდელი პრაქტიკაც გვიდასტურებს. ისევე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, გადამწყვეტი აქაც თვისებრივი (და არა რაოდენობრივი) მხარე შეიძლება აღმოჩნდეს.

⁴⁹ ილია ჭავჭავაძე, „ივერიის“ წინასიტყვაობა“ (II, იქვე, გვ. 234.